



ოჯახში ძალადობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებების მონიტორინგის ანგარიში

საქართველოს სახალხო დამცველი

გაეროს ქალთა ორგანიზაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სააგენტოა, რომელიც გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისა და ქალთა გაძლიერების საკითხებზე მუშაობს. ორგანიზაციის დაარსების მიზანი მთელი მსოფლიოს მასშტაბით ქალებისა და გოგოების ინტერესების დაცვა და მათი საჭიროებების დაკმაყოფილებაა. გაეროს ქალთა ორგანიზაცია მხარს უჭერს გაეროს წევრ სახელმწიფოებს გენდერული თანასწორობის მიღწევის საყოველთაო სტანდარტების შემუშავებაში, თანამშრომლობს მთავრობებსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან ამ სტანდარტების შესაბამისი კანონმდებლობის, პოლიტიკის, პროგრამებისა და მომსახურების შექმნის პროცესში. გაეროს ქალთა ორგანიზაცია ხელს უწყობს ცხოვრების ყველა სფეროში ქალთა თანაბარ მონაწილეობას და განსაკუთრებულ აქცენტს ხუთ ძირითად მიმართულებაზე აკეთებს: საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა ლიდერობისა და მონაწილეობის გაზრდაზე, ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრაზე, სამშვიდობო და უსაფრთხოების პროცესების ყველა ასპექტში ქალთა მონაწილეობის უზრუნველყოფაზე, ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებასა და გენდერული თანასწორობის პრინციპების, როგორც მნიშვნელოვანი პრიორიტეტის, ინტეგრირებაზე ქვეყნის განვითარების დაგეგმვისა და ბიუჯეტის განსაზღვრის პროცესებში. ამასთან, გაეროს ქალთა ორგანიზაცია კოორდინირებს უწევს და ხელს უწყობს გაეროს სისტემაში გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებულ საქმიანობას.

პუბლიკაცია მომზადდა გაეროს ერთობლივი პროგრამის, „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისათვის საქართველოში“, ფარგლებში, შვედეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით. პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორ(ებ)ისეულია და შესაძლოა, არ გამოხატავდეს გაეროს ქალთა ორგანიზაციის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, რომელიმე მისი წევრი სააგენტოს ან ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მოსაზრებებს.

სარჩევი

შესავალი	3
1. ანგარიშის მეთოდოლოგია	4
1.2 მონიტორინგის ეტაპები	5
2. ძირითადი მიგნებები	6
3. ძალადობის მსხვერპლთა წვდომა დაცვისა და დახმარების არსებულ სერვისებზე	8
4. თავშესაფარში განთავსება	10
4.1. თავშესაფარში არსებული გარემოსა და სერვისების შეფასება	11
4.2 თავშესაფრის ადმინისტრაცია და პერსონალი	12
4.3 თავშესაფრის შინაგანაწესი და მასთან დაკავშირებული საკითხები	13
5. ჯანმრთელობის დაცვა	14
6. საცხოვრებელი პირობები და ჰიგიენა	16
7. კვება	19
8. ბენეფიციართა რეაბილიტაცია და ძალადობისგან თავისუფალი ცხოვრებისთვის მომზადება	20
8.1. დასაქმება	21
8.2 მუნიციპალიტეტების როლი ძალადობის მსხვერპლთა გაძლიერების მიმართულებით	21
9. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისული ცენტრების შეფასება	23
10. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სერვისების შეფასება	27
11. თანმდევი მონიტორინგი და მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების ღონისძიებები პანდემიის პირობებში	28
რეკომენდაციები	33

შესავალი

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შემთხვევების გამოვლენის მაჩვენებელი ყოველწლიურად იზრდება. ამ ფონზე, ძალადობის მსხვერპლებისთვის დაცვის და დახმარების ადეკვატური სერვისების შეთავაზებას, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საკანონმდებლო მექანიზმის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტია ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებები, იგივე თავშესაფრები და ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისული ცენტრები, შესაბამისად, მათ მიერ შეთავაზებულ სამართლებრივ, ფსიქო-სოციალურ, სამედიცინო თუ საცხოვრისის სერვისის გამართულად მიწოდებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმისათვის, რათა მსხვერპლმა თავი დააღწიოს ძალადობას და მოემზადოს ძალადობისგან თავისუფალი ცხოვრებისთვის.

2019 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერის დეპარტამენტმა, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, მონიტორინგი განახორციელა ოჯახში ძალადობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, საქართველოში მოქმედ ყველა სახელმწიფო თავშესაფარსა და კრიზისულ ცენტრში. კერძოდ, მონიტორინგის წევრებმა მოინახულეს ბათუმის, ქუთაისის, გორისა და სიღნაღის თავშესაფრები¹, ასევე, თბილისის, გორის, ქუთაისის, ოზურგეთის და მარნეულის კრიზისული ცენტრები.

დამატებით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა, 2019 წლის მონიტორინგისას გამოვლენილი ხარვეზებისა და რეკომენდაციების შესრულების მაჩვენებლის შესამოწმებლად, 2020 წელს მონიტორინგი განახორციელა საქართველოში მოქმედ ყველა სახელმწიფო თავშესაფარსა² და კრიზისულ ცენტრში. ასევე, ახალი კორონა ვირუსის გავრცელებასთან ერთად მნიშვნელოვანი იყო ინფორმაციის მიღება, თუ რამდენად ითვალისწინებენ თავშესაფრები და კრიზისული ცენტრები კოვიდ-19 პანდემიის საფრთხეებს და რა რეგულაციებს მისდევენ დაწესებულებები ვირუსის თავიდან ასარიდებლად და ბენეფიციართა დასაცავად. ამ ანგარიშში აღნიშნული მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ პრობლემებს წარმოგიდგენთ.

¹თბილისის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება (თავშესაფარი) მონიტორინგის დროს მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გამო იყო დახურული, შესაბამისად ამ თავშესაფარში მონიტორინგი არ ჩატარებულა.

² ამ დროისთვის თბილისის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში დასრულებული იყო სარემონტო სამუშაოები და ფუნქციონირებდა, შესაბამისად, მონიტორინგმა აღნიშნულ თავშესაფარიც მოიცვა.

1. ანგარიშის მეთოდოლოგია

„სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 მუხლის თანახმად, საქართველოს სახალხო დამცველის გენდერის დეპარტამენტი ატარებს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფრების) მონიტორინგს.

თავშესაფარი/კრიზისული ცენტრი ოჯახში ძალადობის და ტრეფიკინგის მსხვერპლთა/დაზარალებულთა (მათზე დამოკიდებულ პირებთან ერთად) დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის მიზნით შექმნილი მომსახურების დაწესებულებაა, რომლის მიზანია თავშესაფარში მცხოვრებ ბენეფიციარებს შესთავაზოს ადეკვატური, უსაფრთხო და დაცული საცხოვრებელი გარემო. აგრეთვე, დაიცვას მათი უფლებები და კანონიერი ინტერესები; უზრუნველყოს ბენეფიციართა ჯანმრთელობის დაცვა, ფსიქოლოგიურ-სოციალური რეაბილიტაცია და ბენეფიციარის სურვილის შემთხვევაში, ოჯახსა და საზოგადოებაში ინტეგრაცია.

სახალხო დამცველის აპარატის გენდერის დეპარტამენტმა თავშესაფრები და კრიზისული ცენტრები არაგეგმურად, თავშესაფრის ადმინისტრაციასთან წინასწარ შეუთანხმებლად მოინახულა.

მონიტორინგის მიზანი იყო თავშესაფრებსა და კრიზისულ ცენტრებში არსებული მდგომარეობის შეფასება, ასევე, საერთაშორისო და ადგილობრივ სტანდარტებთან მისი შესაბამისობის დადგენა.

მონიტორინგის სამიზნე ჯგუფი თავშესაფრის სერვისებით მოსარგებლე სრულწლოვანი პირებისა და იქ დასაქმებული პირებისგან შედგებოდა. გამოყენებული იყო ნახევრად დახურული ტიპის კითხვარები.

მონიტორინგისას ყურადღება გამახვილდა სახალხო დამცველის 2018 წლის ოჯახში ძალადობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებების (თავშესაფრის) მონიტორინგის ანგარიშში გაცემული რეკომენდაციების შესრულების საკითხზე. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ბენეფიციართა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის პროგრამებით უზრუნველყოფის საკითხს, რაც გასულ წლებში მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო.³

³ საქართველოს სახალხო დამცველის გენდერის დეპარტამენტმა 2018 წელს ჩაატარა ოჯახში ძალადობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებების (თავშესაფრის) მონიტორინგი და გასცა შესაბამისი რეკომენდაციები თავშესაფრის ფიზიკური გარემოს, დასაქმების, ფსიქო-რეაბილიტაციის და საგანმანათლებლო პროგრამების სიმწირესთან, ბენეფიციართა ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმებასა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/2uPMJmC>

1.2 მონიტორინგის ეტაპები

მონიტორინგის პირველ ეტაპზე, სახალხო დამცველის რწმუნებულებმა, არაგეგმური ვიზიტების საშუალებით, თავშესაფრებსა და კრიზისულ ცენტრებში ფიზიკური გარემოსა და კვების კუთხით არსებული მდგომარეობა შეამოწმეს. თავშესაფრის თანამშრომლებისა და ბენეფიციარების გამოკითხვის შედეგად, ასევე შეგროვდა ინფორმაცია შეთავაზებული სერვისების შესახებ.

ბენეფიციარებთან გასაუბრება მიმდინარეობდა ინდივიდუალურად. სულ გამოიკითხა 15 ბენეფიციარი.⁴ კითხვარები იმგვარად იყო ფორმულირებული, რომ შესაძლებელი გაეხადა იმის შეფასება, რამდენად ფლობდნენ ბენეფიციარები ინფორმაციას ქვეყანაში არსებული დაცვისა და დახმარების სერვისების შესახებ, როგორია მათი გამოცდილება სერვისებში ჩართვასთან დაკავშირებით, კმაყოფილები არიან თუ არა თავშესაფარში მიღებული სერვისებით და გაძლიერდა თუ არა მათი შესაძლებლობები.

რაც შეეხება კითხვარს თავშესაფრებში/კრიზისულ ცენტრებში დასაქმებული პირებისთვის, ის თითოეული თანამშრომლისთვის ინდივიდუალურად იყო შედგენილი, მათი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე. კითხვარები მაქსიმალურად იძლეოდა იმის გაანალიზების შესაძლებლობას, თუ როგორია თავშესაფრების პრაქტიკა სერვისებით მოსარგებლე პირების საჭიროებების გამოსავლენად და დასაკმაყოფილებლად. ამასთან, მნიშვნელოვანი იყო თავად თანამშრომელთა ხედვა თავშესაფრებში არსებულ გამოწვევებსა და პრობლემებთან დაკავშირებით.

მონიტორინგის მეორე ეტაპზე, სახალხო დამცველის აპარატმა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდისგან⁵ გამოითხოვა ინფორმაცია ოჯახში ძალადობისა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებებითა და იქ არსებული

⁴ გამოიკითხნენ მხოლოდ ის ბენეფიციარები, რომლებიც ნებაყოფლობით ჩაერთნენ მონიტორინგის პროცესში და რომლებიც, სახალხო დამცველის რწმუნებულების ვიზიტის დროს, თავშესაფარში იმყოფებოდნენ. გამოკითხული 15 ბენეფიციარიდან 13 თავშესაფრის სერვისებით მოსარგებლე იყო (მათ შორის, 5 ბენეფიციარი გამოიკითხა გორის თავშესაფარში, 3 ქუთაისში, 1 ბათუმში, 4 სიღნაღში), 1 - თბილისის კრიზისული ცენტრის თავშესაფრის კომპონენტით მოსარგებლე, ხოლო 1 - თბილისის კრიზისული ცენტრის დღის სერვისით მოსარგებლე.

⁵ 2020 წელს განხორციელებული ცვლილებების თანახმად, სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი წარმოადგენს სახელწოდების შეცვლის შედეგად გარდაქმნილ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს. შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო არის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის უფლებამონაცვლე, თუმცა, მიუხედავად ამისა, ვინაიდან მონიტორინგისას მსგავსი სუბიექტი არ არსებობდა, ტექსტში უწყება მოხსენიებული იქნება როგორც სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი.

მომსახურებებით მოსარგებლეთა სტატისტიკის შესახებ. გარდა ამისა, გამოვითხოვეთ ინფორმაცია თავშესაფრებში მიმდინარე ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის, კულტურული და საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ; თავშესაფრების პერსონალისა და კრიზისული ცენტრის თანამშრომელთათვის ჩატარებული თემატური ტრენინგების/სემინარების შესახებ.

საბოლოოდ, **მესამე ეტაპზე**, გამოთხოვილი ინფორმაციისა და დოკუმენტირებული ინტერვიუების ანალიზის საფუძველზე, მომზადდა მონიტორინგის ანგარიში და რეკომენდაციები.

2. ძირითადი მიგნებები

2019 წელს, ქვემო ქართლის რეგიონში, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისული ცენტრი გაიხსნა, რაც, სერვისებზე წვდომის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია. ამასთან, მისასალმებელია, რომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, თბილისის ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებას სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა და თავშესაფარი ბენეფიციარებს გაუმჯობესებულ საცხოვრებელ პირობებს შესთავაზებს.

პოზიტიური ცვლილებების მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ თავშესაფრების მიერ მიწოდებული სერვისი, გაზრდილი მიმართვიანობის ფონზე, არაერთი გამოწვევით ხასიათდება. კერძოდ, მონიტორინგისას გამოვლინდა, რომ:

- კვლავ გამოწვევას წარმოადგენს მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია და მათთვის სათანადო საცხოვრებელი პირობების შეთავაზება; განსაკუთრებული პრობლემაა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის, საგანმანათლებლო და დასაქმების პროგრამების, სარეკრეაციო, სპორტული, შემეცნებითი აქტივობების შეზღუდული რაოდენობა. პრობლემად რჩება ასევე, ბენეფიციართა მხარდაჭერა და დახმარება თავშესაფრის დატოვების შემდეგ, შესაბამისი პროგრამების მწირი რაოდენობის, ზოგიერთ შემთხვევაში კი, მათი არარსებობის გამო.
- სირთულეს წარმოადგენს ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ბენეფიციარებისთვის ფსიქოლოგის სერვისის მიწოდება, ენის ბარიერის გამო.
- წინა წლების მსგავსად, პრობლემურია და უმეტესად ზეპირი გასაუბრების საფუძველზე მოწმდება თავშესაფარში განთავსებულ მსხვერპლთა/დაზარალებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობა, რაც, გადამდები დაავადებების შემთხვევაში, რისკის შემცველია თავშესაფარში განთავსებული ბენეფიციარებისა და პერსონალისთვის. ამ მხრივ მნიშვნელოვანია, ბენეფიციარებს პროაქტიულად შეეთავაზოთ რუტინული კვლევები (თერაპევტთან).
- სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა ნაწილს საჭირო კვლევები თავშესაფარში განთავსებიდან 48 საათის განმავლობაში არ ჩატარებია.⁶

⁶ აღნიშნული პრობლემა გამოიკვეთა გორსა და ბათუმში ბენეფიციართა გამოკითხვისას.

- მნიშვნელოვანი გამოწვევაა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ბენეფიციართა შემთხვევების მართვა. თავშესაფრების ადმინისტრაციის ინფორმაციით, მომატებულია ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ბენეფიციართა რიცხვი და ადმინისტრაციას უჭირს შემთხვევებთან გამკლავება. მონიტორინგისას გამოვლინდა, რომ ბენეფიციარებს შორის დაპირისპირების (მათ შორის, ფიზიკური დაპირისპირების) და თავშესაფარში პოლიციის გამოძახების შემთხვევები გახშირებულია, რაც, ბუნებრივია, თავშესაფარში არსებულ მშვიდ და კეთილსაიმედო გარემოს არღვევს და ფსიქოლოგიურად რთულ მდგომარეობაში მყოფი ბენეფიციარების მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს.
- გამოწვევას წარმოადგენს ბენეფიციართა პერსონალური ინფორმაციის დაცვა, კერძოდ, მონიტორინგისას გამოიკვეთა ბენეფიციართა მხრიდან ერთმანეთთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნების პრობლემა. ხოლო ერთ-ერთ თავშესაფარში, ერთ-ერთი ბენეფიციარის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ სპეციფიკური ინფორმაცია, სავარაუდოდ, თავშესაფრის ადმინისტრაციამ გაამჟღავნა.
- რიგ შემთხვევაში პრობლემურია სეზონის და ასაკის შესაბამისი ტანსაცმლით/ფეხსაცმლით უზრუნველყოფის საკითხი.⁷ ამასთან, თავშესაფრების უმრავლესობაში პრობლემა პირველადი მოხმარების ტანსაცმლით/თეთრეულით ბენეფიციართა უზრუნველყოფა.
- ზოგიერთ თავშესაფარში იკვეთება მედიკამენტებით უზრუნველყოფის პრობლემა. გარკვეული პრობლემები გამოვლინდა საკვების მრავალფეროვნების და საკვები პროდუქტების ვადების კონტროლის მხრივაც.
- კვლავ მოუწესრიგებელია ინფრასტრუქტურის საკითხი, თავშესაფრები საჭიროებს სარემონტო სამუშაოების ჩატარებას და ინვენტარის განახლებას, ზოგიერთი თავშესაფრის ადგილმდებარეობა ვერ აკმაყოფილებს უსაფრთხოების სტანდარტს.
- თავშესაფრებში დგას სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის პრობლემა, რამდენიმე თავშესაფარში განსაკუთრებით პრობლემური იყო ანტისანიტარია საპირფარეოებში.
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის გამოწვევად რჩება თავშესაფარზე წვდომა, თავშესაფრები ნაწილობრივ არის ადაპტირებული ეტლით მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, ხოლო სხვა სახის შეზღუდვების მქონე პირებზე თავშესაფარი მორგებული არ არის.
- ცხელი ხაზის (116 006) ოპერატორები, რიგ შემთხვევებში, სერვისის მიღებისთვის შესაძლო ძალადობის მსხვერპლებს მსხვერპლის სტატუსის აუცილებლობაზე მიუთითებენ. სახალხო დამცველის აპარატს, ინდივიდუალური საქმეების

⁷ მაგალითად, სიღნაღის თავშესაფარში საერთოდ არ იყო ტანსაცმლის მარაგი, ხოლო ბათუმის და გორის თავშესაფარში მცირე რაოდენობით. აღნიშნულ თავშესაფარში თავად ბენეფიციარებმა მიუთითეს ტანსაცმლის საჭიროების შესახებ.

შესწავლისას რამდენიმე მსხვერპლმა აცნობა, რომ ცხელ ხაზზე კონსულტაციისას მსხვერპლის სტატუსის ფლობაზე მიუთითეს, როგორც სერვისის მიღების აუცილებელ წინაპირობაზე.

- რეგიონში მდებარე კრიზისულ ცენტრებში მომსახურების მიმღებთა მაჩვენებელი კრიტიკულად დაბალია, რაც ბადებს შეკითხვებს აღნიშნული მომსახურების ცენტრების მიერ სერვისების და ინფორმაციის სწორად მიწოდებასთან დაკავშირებით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ, მიუხედავად არსებული პრობლემებისა, ბენეფიციართა უმეტესობა, რომელთაც თავშესაფარში განთავსებამდე რთული საცხოვრებელი და სოციალური პირობები ჰქონდათ ძალადობის მუდმივი რისკის ქვეშ, კმაყოფილია თავშესაფრის მომსახურებით და დადებითად აფასებს ადმინისტრაციისა და პერსონალის ძალისხმევას, თავშესაფარში თავს გრძნობს დაცულად და მუდმივად გრძნობს მხარდაჭერას.

3. ძალადობის მსხვერპლთა წვდომა დაცვისა და დახმარების არსებულ სერვისებზე

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის, სერვისებზე წვდომის გაუმჯობესების კუთხით, არაერთი ნაბიჯი გადაიდგა,⁸ მიუხედავად ამისა, ჩატარებული მონიტორინგისას სერვისებზე წვდომის მხრივ გარკვეული პრობლემა ვლინდება. შეიძლება ითქვას, რომ მსხვერპლებისთვის მნიშვნელოვანი ბარიერია მსხვერპლის სტატუსის მოთხოვნა როგორც ძალადობისაგან დაცვისა და დახმარების სერვისის მიღების წინაპირობა.

აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის პროცესში გამოკითხულ ბენეფიციართა უმეტესობას ძალადობის თაობაზე მიმართული ჰქონდა სამართალდამცავი უწყებისთვის, და ძირითადად, კმაყოფილები იყვნენ პოლიციის რეაგირებით. თუმცა გამოკითხულთა შორის იყვნენ ისეთებიც, რომელთაც სამართალდამცავი უწყებისთვის არ მიუმართავთ, ან უწყების წარმომადგენლებთან ურთიერთობის ნეგატიურ გამოცდილებაზე გაამახვილეს ყურადღება.

პოლიციისთვის მიუმართაობის მიზეზებად დასახელდა სამართალდამცავი უწყებისადმი მიმართვის შიში და ოჯახის წევრის მუშაობა პოლიციის განყოფილებაში. აღსანიშნავია, რომ მოძალადის სტატუსი და გავლენა, ზოგიერთ შემთხვევაში, ეჭვებს ბადებს საქმის მიკერძოებულად განხილვასთან დაკავშირებით. ბენეფიციარებმა ასევე მიუთითეს სამართალდამცავ უწყებაში სექსუალური ძალადობის მსხვერპლებისთვის სპეციალური გამოკითხვის წესების არარსებობის პრობლემაზე. კერძოდ, ერთ-ერთი ბენეფიციარის თქმით,

⁸ მნიშვნელოვანია, რომ ამ მიმართულებით მუშავდება მხარდაჭერის სერვისის მამიებლის რისკებისა და საჭიროებების შეფასების ინსტრუმენტი.

იგი არ იყო მზად გამოკითხვისთვის, ამასთან, იგი კაცმა გამომძიებელმა გამოკითხა და საქმის დეტალებზე საუბრისას თავს უხერხულად გრძნობდა.⁹

აღსანიშნავია, რომ თავშესაფრის ადმინისტრაციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა პოლიციის მხრიდან არასათანადო რეაგირების შემთხვევებზეც ისაუბრა. მოწოდებული ინფორმაციით, ყოფილა შემთხვევა, როდესაც გამოცემულ შემაკავებელ ორდერში მითითებული ინფორმაცია ძალადობის ფორმების შესახებ, სრულად არ ასახავდა ჩადენილი ძალადობის ხასიათს.¹⁰

გამოკითხული ბენეფიციარების ნაწილმა, პირდაპირ მიუთითა ეკონომიკურ დამოკიდებულებაზე, როგორც ძალადობის სისტემატურად თმენის მთავარ ფაქტორზე. შეიძლება ითქვას, რომ ბენეფიციართა უმეტესობა თავშესაფარში ძალადობასთან ერთად, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების გამოც მოხვდა, მათ უმეტესწილად არ აქვთ შემოსავალი, მათ სახელზე არც რაიმე სახის უძრავი ქონებაა რეგისტრირებული. შესაბამისად, იმ პირებისთვის, ვინც ძალადობას თავი დააღწია, თავშესაფარში განთავსება და სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

კვლავ პრობლემად რჩება მსხვერპლთა უსაფრთხოების გრძელვადიანი დაცვა. რამდენიმე მსხვერპლმა აღნიშნა, რომ თავს დაცულად არ გრძნობს და ეშინია, რომ თავშესაფრის დატოვების შემდეგ, მათზე ისევ იძალადებენ. მათი აზრით, მოძალადის მხოლოდ სასჯელადსრულების დაწესებულებაში განთავსება საკმარისი არ არის. ბენეფიციარები ყურადღებას ამახვილებენ მოძალადეთა ქცევის კორექციის საჭიროებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ფიქრობენ, რომ მოძალადე პირები საპატიმრო დაწესებულების დატოვების შემდეგ, მათთვის კვლავ საფრთხის მატარებლები იქნებიან.

მონიტორინგისას მიღებული ინფორმაციიდან ჩანს, რომ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპული შეხედულებები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით. გამოკითხული მსხვერპლების უმრავლესობა მიუთითებს საზოგადოების გულგრილ დამოკიდებულებაზე. ისინი ამბობენ, რომ პრობლემის წინაშე მარტოები დარჩნენ, მხარდამჭერები არ ჰყავდათ, და ამის გამო თავშესაფარში განთავსება მოუწიათ.


⁹ სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის გამოკითხვის სპეციალური მეთოდოლოგიის შემუშავების თაობაზე, სახალხო დამცველმა შინაგან საქმეთა სამინისტროს რეკომენდაციით უკვე მიმართა (№08/15654 24/12/2018); აღნიშნული საკითხი ასევე განხილულია საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2018 წელი. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://bit.ly/39Z1689>

¹⁰ საუბარი იყო შემთხვევაზე, როდესაც, მიუხედავად ფიზიკური ძალადობის კვალისა, ოქმში მხოლოდ ფსიქოლოგიური ძალადობის შესახებ იყო მითითებული.

4. თავშესაფარში განთავსება

თავშესაფარებში ბენეფიციარები შემაკავებელი და დამცავი ორდერების, მსხვერპლთა გამოვლენის ჯგუფის დასკვნისა და სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებულად ცნობის საფუძველზე, 3 თვემდე ვადით განთავსდებიან. თავშესაფარში მოთავსების ვადის ამოწურვის შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, ეს ვადა თავშესაფრის წესდებით (შინაგანაწესით) დადგენილი წესით და თავშესაფრის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით გრძელდება. ბენეფიციარის მდგომარეობის შეფასების შემდეგ, გადაწყვეტილებაში აისახება ვადის გაგრძელების საფუძველი.¹¹

სსიპ ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ინფორმაციით, 2019 წლის განმავლობაში, სულ თავშესაფრის სერვისით ისარგებლა 411-მა პირმა (მათ შორის: 173 სრულწლოვანი; 41 არასრულწლოვანი და 197 დამოკიდებული პირი).^{12 13}



სსიპ ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის მიერ მოწოდებული სტატისტიკის ანალიზით ირკვევა, რომ თავშესაფარში მცხოვრებ ბენეფიციარებს ყველაზე ხშირად გაეწიათ ფსიქო-სოციალური დახმარება.

¹¹ 2019 წელს თავშესაფარს ვადის გაგრძელების თხოვნით მიმართა 37 (ოცდაჩვიდმეტმა) ბენეფიციარმა და ყველა მათგანი დაკმაყოფილდა.

¹² თავშესაფრების შინაგანაწესის თანახმად, დამოკიდებული პირი არის ძალადობის მსხვერპლის/დაზარალებულის 18 წლამდე ასაკის შვილი, ასევე პირი, რომლის კანონიერი წარმომადგენელიც არის ძალადობის მსხვერპლი/დაზარალებული/სავარაუდო მსხვერპლი.

¹³ კრიზისული ცენტრის სადღეღამისო (თავშესაფრის კომპონენტი) მომსახურების სერვისით 30 მსხვერპლის/დაზარალებულის სტატუსის მქონე პირმა (დამოკიდებულ პირებთან ერთად) ისარგებლა. შესაბამისად, აღნიშნული 30 ბენეფიციარი ასახულია თავშესაფრის სტატისტიკაში.

ბოლო პერიოდში დადებითი ტენდენცია შეინიშნება, თავშესაფრის დატოვების შემდეგ სულ უფრო ნაკლები მსხვერპლი უზრუნდება ძალადობრივ გარემოს. უმეტეს შემთხვევაში, ბენეფიციარები საცხოვრებლად გადადიან ნაქირავებ ბინაში ან ბიოლოგიურ ოჯახში ბრუნდებიან.¹⁴ ამასთან, თავშესაფრის პერსონალი და ადმინისტრაცია მაქსიმალურად ცდილობს ბენეფიციართათვის მხარდამჭერი ქსელის მოძიებას და მათ ინტეგრაციას ბიოლოგიურ ოჯახში ან ნათესავებთან.

4.1. თავშესაფარში არსებული გარემოსა და სერვისების შეფასება

მონიტორინგის ფარგლებში გამოკითხულ ბენეფიციართა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ თავშესაფარში განთავსებისას უსაფრთხო და კეთილგანწყობილი გარემო დახვდათ და ამ მხრივ მათი მოლოდინები გამართლდა. ბენეფიციართა უმეტესობას მეგობრული დამოკიდებულება აქვს როგორც თავშესაფრის პერსონალთან, ისე სერვისით მოსარგებლე სხვა პირებთან.

გამოკითხულმა ბენეფიციარებმა აღნიშნეს, რომ თავშესაფარში მათ მიიღეს იურიდიული დახმარება სხვადასხვა საკითხებზე, მათ შორის: შემაკავებელი, დამცავი ორდერის გამოცემის, ძალადობის ფაქტზე მიმდინარე გამოძიების, ასევე, კერძო დავებთან დაკავშირებით, როგორც არის ქონებრივი დავა, ალიმენტის დაკისრება, განქორწინება და სხვ.

ბენეფიციარებთან გასაუბრებისას, ძირითადად გამოვლინდა ფსიქოლოგიური, სექსუალური, ფიზიკური და ეკონომიკური ძალადობის გამოცდილება. ასევე მიუთითეს ადევნების და მუქარის ფაქტების შესახებ. მსხვერპლების თქმით, თავშესაფარი რომ არ არსებობდეს, ფიზიკურად ვერ გადარჩებოდნენ და ისევ ძალადობრივ გარემოში ან ქუჩაში მოუწევდათ ცხოვრება. შესაბამისად, თავშესაფრების სერვისები ძალადობის მსხვერპლებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

აღსანიშნავია, რომ ყველა თავშესაფარი უზრუნველყოფილია ძიძით და, საჭიროების შემთხვევაში, თარჯიმნით. ბენეფიციარებს, სურვილის შემთხვევაში, საკუთარ ოთახში სასურველი რელიგიური რიტუალის ჩატარების უფლება აქვთ.

მონიტორინგისას გამოვლინდა, რომ რიგ ბენეფიციართა მგრძობელობის დონე დაბალია სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი პირების და ლგბტ პირების მიმართ.¹⁵ მნიშვნელოვანია, თავშესაფრების ადმინისტრაციამ დაგეგმოს და

¹⁴ მოწოდებული ინფორმაციით, 2019 წელს მოძალადესთან დაბრუნდა სულ 12 ბენეფიციარი. ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის წერილი № 07/91, 27/01/2020 წ.

¹⁵ სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ბენეფიციარს სხვა ბენეფიციარი „კახპას“ უწოდებდა, ეთნიკურად აზერბაიჯანელი მსხვერპლი ქალი კი, ბენეფიციარმა მოიხსენია როგორც „თათარი“, ასევე, როგორც გვეცნობა, იყო გამოწვევები ლგბტ პირებთან დაკავშირებით, მაგალითად, „ჩემ შვილთან ერთად რატომ უნდა იცხოვროს ლგბტ პირმა“.

გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები, რათა სერვისით სარგებლობის შემთხვევაში, დისკრიმინაციული დამოკიდებულებების გამოვლენა მინიმუმამდე შემცირდეს.

გამოკითხული ბენეფიციარების დიდ ნაწილს არ ჰქონდა ინფორმაცია თავშესაფარში არსებული ანონიმური გასაჩივრების მექანიზმის და შემდგომი პროცედურების შესახებ. მოწოდებული ინფორმაციით, პრობლემური საკითხები ძირითადად *ადმინისტრაციასთან პირადი კომუნიკაციით* წყდება. დადებითად აღინიშნა მონიტორინგის სამსახურის ჩართულობაც, პრობლემის წამოჭრისას.

პირდაპირი კომუნიკაციის გზით პრობლემების გადაჭრა მისასაღმებელია, თუმცა ასევე მნიშვნელოვანია ადმინისტრაციის მხრიდან გატარდეს ღონისძიებები უკუკავშირისა და გასაჩივრების მექანიზმის გამართულად მუშაობისათვის, რაც შესაძლებელს გახდის ანონიმური უკუკავშირის მიწოდებას.

4.2 თავშესაფრის ადმინისტრაცია და პერსონალი

სსიპ ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის თავშესაფრებში შრომითი ხელშეკრულებებით დასაქმებულ პირთა ნუსხა შემდეგნაირია: თავშესაფრის უფროსი, იურისტი¹⁶, ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი, მედდა (4), ძიძა, ბუღალტერი, დამლაგებელი, დარაჯი (4) და მძღოლი.

თავშესაფრის პერსონალის უმეტესობას გავლილი აქვს ტრენინგები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე. ფონდის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2019 წელს თავშესაფრის და კრიზისული ცენტრის თანამშრომლებისთვის არაერთი ტრენინგი ჩატარდა.¹⁷ თუმცა, მათ

¹⁶ სიღნაღის თავშესაფარში იურისტის პოზიცია 1 წელზე მეტია, ვაკანტურია. ადმინისტრაციის ინფორმაციით, ბენეფიციარებს დახმარებას უწევს იურიდიული დახმარების ბიურო, ხოლო მათთან რეფერირებაში სოციალური მუშაკი ეხმარება. თავშესაფრის ადმინისტრაციის ინფორმაციით, იურისტის პოზიციაზე ვერ შეირჩა სათანადო კანდიდატი, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ თავშესაფარში იურისტის პოზიცია 1 წელზე მეტია, რაც ვაკანტურია, საეჭვოა, მიმართავენ თუ არა სათანადო ძალისხმევას კანდიდატების მოსამიებლად. თავშესაფრის სპეციფიკიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია იურისტი იმყოფებოდეს ადგილზე, რათა დროული სამართლებრივი დახმარება გაუწიოს ბენეფიციარებს.

¹⁷ „ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრებსა და კრიზისულ ცენტრებში სოციალური მუშაობის კომპონენტის გაძლიერება“; „ოჯახში ძალადობის ჩამდენ იმ პირებთან მუშაობა, რომლებიც ვერ უმკლავდებიან აგრესიას და ვერ აკონტროლებენ სიბრაზეს“; „ლტოლვილ ქალთა გაძლიერება საქართველოში“; „სახელმწიფო სერვისები გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელებისთვის“; „ბავშვთა შრომითი ექსპლუატაცია“; „მხარდაჭერის სერვისის მამიებლის იდენტიფიცირების, რისკებისა და საჭიროებების შეფასების ინსტრუმენტზე“; „ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკა (ეროვნული რეფერალური მექანიზმი) და არსებული გამოწვევები“; „სექსუალური შევიწროების შემთხვევაზე რეაგირების საკითხებზე“; „ევროკავშირის 2 დირექტივა: Directive 2011/36/EU of 5 April 2011; Directive 2004/81/EC of 29 April“; „Trauma Informed Approach to Identification of Victims of Trafficking“; „პოლიტიკის დაგეგმვა და ევროკავშირში ინტეგრაციის 2020 წლის სამოქმედო გეგმა“. წერილი №07/91, 27/იანვარი/2020 წ.

შორის არ ყოფილა ტრენინგები ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხებზე, რისი საჭიროებაც მონიტორინგისას გამოვლინდა.

მონიტორინგმა ასევე გამოკვეთა თავშესაფრის პერსონალის მიერ რთული ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ბენეფიციართათვის სერვისის მიწოდების საჭიროება. თავშესაფრებში განსაკუთრებული პრობლემაა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ბენეფიციართა შემთხვევების მართვა. ხელმძღვანელობამ თავშესაფრის პერსონალს არ უნდა დააკისროს იმაზე დიდი პასუხისმგებლობა, ვიდრე მას შეუძლია იტვირთოს.¹⁸

იმ პირობებში, როდესაც ქვეყანაში არ არსებობს ფსიქიკური ჯანმრთელობის გამართული სერვისები, არსებითაა თავშესაფრის პერსონალის გადამზადება და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ბენეფიციარების მდგომარეობის საზედამხედველოდ და სამართავად შესაბამისი სპეციალისტის დამატება.

სამუშაო დატვირთვისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ თავშესაფრების და კრიზისული ცენტრების თანამშრომელთა დიდი ნაწილი პრობლემად ასახელებს დაბალ ანაზღაურებას.

4.3 თავშესაფრის შინაგანაწესი და მასთან დაკავშირებული საკითხები

ბენეფიციართა უმეტესობა აცხადებს, რომ თავშესაფარში განთავსებისას ზეპირად და წერილობით განემარტათ უფლება-მოვალეობები, მოქმედი წესები მათთვის მისაღებია, შეზღუდვები კი, მათივე უსაფრთხოებით არის განპირობებული.

შინაგანაწესის მიხედვით, თავშესაფარში დაცული უნდა იყოს ბენეფიციარის პერსონალური ინფორმაცია, და ამაზე ზრუნვა თავშესაფრის თანამშრომლების ვალდებულებაა. პერსონალური ინფორმაცია მოიცავს: ბენეფიციარის კორესპონდენციას, სატელეფონო საუბრებს, ელექტრონულ ფოსტას, პირად შეხვედრებს, სამედიცინო, ფსიქო-სოციალური, სამართლებრივი მომსახურების მიწოდების დროს მიღებულ ინფორმაციას და სხვ.¹⁹ ინფორმაციის გაზიარების შემთხვევაში, სხვადასხვა სერვისით სარგებლობისას ამ მონაცემების გამოსაყენებლად, თავშესაფრის ადმინისტრაციას, მნიშვნელოვანია, ბენეფიციარისგან ინფორმირებული თანხმობა ჰქონდეს.²⁰

¹⁸ სამუშაო დღეებსა და საათებში არსებულ პრობლემებს მეტნაკლებად უმკლავდება სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი, ხოლო არასამუშაო საათებში მედდას უწევს კონფლიქტური მდგომარეობის დარეგულირება, რისი ცოდნა და უნარებიც, მას, შესაძლოა, არ ჰქონდეს.

¹⁹ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფარი) შინაგანაწესი, ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://bit.ly/2RQ85JR> [ბოლოს ნანახია 2020 წლის 18 მარტს].

²⁰ ინფორმირებული თანხმობის მოთხოვნის აუცილებლობის შესახებ, გაეროს ქალთა ორგანიზაცია (2017). ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://bit.ly/2uWeAli> [ბოლოს ნანახია 2020 წლის 18 მარტს].

მონიტორინგისას გარკვეული პრობლემები გამოვლინდა პერსონალური მონაცემების დაცვის მხრივ. კერძოდ, გამოიკვეთა ბენეფიციარების მიერ ერთმანეთთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნების პრობლემა. სიღნაღის თავშესაფარში კი, ერთ-ერთი ბენეფიციარის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ სპეციფიკური ინფორმაციის შესაძლო გამჟღავნების ფაქტს ადგილი ჰქონდა თავშესაფრის ადმინისტრაციის მხრიდან.²¹

მნიშვნელოვანია, ადმინისტრაცია განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდეს და მუშაობდეს პერსონალური ინფორმაციის დაცვის საკითხზე როგორც თავშესაფრის პერსონალის, ისე ბენეფიციარების მხრიდან.

5. ჯანმრთელობის დაცვა

სისტემატური ძალადობა და მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონი მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის ძალადობის მსხვერპლთა ჯანმრთელობას. გამუდმებულმა ძალადობამ, შესაძლოა, გამოიწვიოს რეპროდუქციული ჯანმრთელობის პრობლემები, სხვადასხვა ფუნქციური დარღვევები, ქრონიკული ტკივილის სინდრომი, ასევე, შესაძლოა, გავლენა იქონიოს ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე.²² შესაბამისად, მსხვერპლებს თავშესაფრებში კომპლექსურად და უწყვეტად უნდა მიეწოდებოდეთ სოციალური, ფსიქოლოგიური და ჯანდაცვის სერვისები.

მონიტორინგისას გამოვლინდა, რომ ზოგიერთ ბენეფიციარს არ ჰქონდა სრულყოფილი ინფორმაცია იმ სამედიცინო სერვისების შესახებ, რომლითაც შეუძლია სარგებლობა თავშესაფარში ყოფნის განმავლობაში.

პრობლემურია, რომ შეუსრულებელია საქართველოს სახალხო დამცველის ის რეკომენდაცია, რომელიც ბენეფიციართა ჯანმრთელობის შემოწმების მიზნით რუტინული სკრინინგების თავშესაფარში მიღებისთანავე ჩატარებას ეხება, რათა, ინფექციური დაავადების არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელი იყოს დროული და ეფექტიანი მკურნალობა და თავიდან იქნას აცილებული შესაძლო დაავადებების/ინფექციების შემდგომი გავრცელება.²³

მონიტორინგისას გამოვლინდა, რომ სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა ნაწილს, რომლებზეც ოჯახის წევრებმა იძალადეს, არ ჩატარებია საჭირო კვლევები თავშესაფარში

²¹ ბენეფიციარი, რომლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ სპეციფიკური ინფორმაცია ცნობილი გახდა სხვა ბენეფიციარებისთვის, მხოლოდ აზერბაიჯანულ ენაზე საუბრობდა და სხვა ბენეფიციარებთან ინტერაქციას ვერ ახერხებდა, რაც აჩენს ეჭვს, რომ ინფორმაცია თავშესაფრის პერსონალმა გაამჟღავნა.

²² ადამიანის უფლებები სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის და კეთილდღეობის ჭრილში: ქვეყნის უფლებრივი მდგომარეობის შეფასება, სახალხო დამცველი, 2018, გვ. 103. კვლევა მისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://bit.ly/2vualxW> [წყარო ბოლოს ნანახია: 18.03.2020].

²³ ოჯახში ძალადობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებების (თავშესაფრის) მონიტორინგის ანგარიში 2018, გვ. 15-16, ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://bit.ly/2Qplck4>

განთავსებიდან 48 საათის განმავლობაში, რაც არასწორი პრაქტიკაა და არსებულ რეგულაციებსა და საერთაშორისო სტანდარტებს ეწინააღმდეგება.²⁴

ბენეფიციარების გამოკითხვის შედეგად, გამოიკვეთა პრობლემები რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების მიმართულებითაც. კერძოდ, მცირეა იმ ბენეფიციართა რიცხვი, რომლებსაც შესაბამისი გამოკვლევები ჩაუტარდათ. ამგვარი სამედიცინო სერვისით სარგებლობა პრობლემურია სექსუალური ძალადობის მსხვერპლებისთვისაც. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთ ბენეფიციარს არც მშობიარობის შემდგომ პერიოდში უსარგებლია გინეკოლოგის კონსულტაციით და არც პროფილაქტიკური გამოკვლევა ჩაუტარებია პოსტნატალურ პერიოდში მდგომარეობის შესაფასებლად.²⁵

ადმინისტრაციის ინფორმაციით, აღმოფხვრილია გასულ წლებში არსებული ბიუროკრატიული ბარიერი და თავშესაფრებს მედიკამენტები დროულად მიეწოდებათ.²⁶ აღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია იმ ფაქტზე მითითება, რომ მონიტორინგისას ბათუმის თავშესაფარში არ მოიძიებოდა არცერთი სახეობის მედიკამენტი, მათ შორის, არც პირველადი მოხმარების მედიკამენტები.²⁷

მონიტორინგისას მსხვერპლთა/ბენეფიციართა ჯანმრთელობის დაცვის კუთხით გამოვლენილი შედეგები მიუთითებს, რომ თავშესაფრებმა მსხვერპლებს ჯანმრთელობის უფლებასთან დაკავშირებით, მეტი ინფორმაცია უნდა მიაწოდონ. მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ ბენეფიციარის ძალადობისგან თავისუფალი შემდგომი ცხოვრება უშუალოდ არის დაკავშირებული მისი ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობასთან. შესაბამისად, თავშესაფარი მაქსიმალურად უნდა ცდილობდეს ბენეფიციართა ჯანმრთელობის გაუმჯობესებას და თავშესაფარში ყოფნის განმავლობაში, ამ მხრივ, მათი ბაზისური საჭიროებების დაკმაყოფილებას.

²⁴ პრობლემა გამოიკვეთა გორის და ბათუმის თავშესაფრებში. გორის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფარი და კრიზისული ცენტრის) შინაგანაწესი, მუხლი 11, მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://bit.ly/2xQE0T3>

²⁵ აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს მიერ დედათა ჯანმრთელობის კუთხით პოსტნატალური ზრუნვის სისტემა, როგორც ასეთი, ქვეყანაში დანერგილი არ არის, რაც ქვეყანაში დედათა სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებლის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია. იხ. სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები: ეროვნული შეფასება, სახალხო დამცველი, 2019, გვ. 17. ინფორმაცია მისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://bit.ly/2UeVSOR> [წყარო ბოლოს ნანახია: 18.03.2020].

²⁶ მედიკამენტების დროულად მიწოდების პრობლემა განხილულია ოჯახში ძალადობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებების (თავშესაფრის) მონიტორინგის ანგარიშში (2018წ), გვ. 16. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://bit.ly/2QqzZLe> [ბოლოს ნანახია 2020 წლის 18 მარტს].

²⁷ ასევე აღსანიშნავია, რომ ქუთაისისა და გორის თავშესაფარში გამოკითხულმა თითო ბენეფიციარმა მიუთითა მედიკამენტების დროულად მიწოდების პრობლემაზე.

6. საცხოვრებელი პირობები და ჰიგიენა

საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, სასურველია, თავშესაფრის შენობა სპეციალურად ამ მიზნით იყოს აშენებული, რადგან ამ შემთხვევაში, გათვალისწინებულია უსაფრთხოების კონკრეტული სტანდარტები და მოთხოვნები, განლაგება, დიზაინი და ა.შ.²⁸ უსაფრთხოების სტანდარტების თანახმად, აუცილებელია შენობას ჰქონდეს ღობე და დაცული იყოს არასასურველი ვიზიტორებისგან. მნიშვნელოვანია წყალზე ხელმისაწვდომობა, გათბობის სისტემების გამართულად მუშაობა და კონდიციონერება. თავშესაფრის მდებარეობა მოსახერხებელი უნდა იყოს ბენეფიციარებისთვის ისეთი სერვისების გამოსაყენებლად, როგორცაა ჯანდაცვის დაწესებულებები, პოლიცია, იურიდიული სააგენტოები, სკოლა, ბაზარი, საჯარო ტრანსპორტი და ა.შ.²⁹

მონიტორინგმა აჩვენა, რომ საქართველოში 2 თავშესაფარი (ბათუმი, ქუთაისი) კვლავ ისეთ შენობა-ნაგებობაშია განთავსებული, სადაც საქმიანობენ სხვა ტიპის ორგანიზაციებიც, რაც უსაფრთხოების საკითხს ეჭვქვეშ აყენებს. ასევე, თავშესაფრის უსაფრთხოების საკითხი კვლავ ყველაზე პრობლემურია გორში, სადაც თავშესაფრის მისამართის შესახებ ინფორმაციის მოპოვება ადვილია.

გორის თავშესაფარში, გასულ წლებთან შედარებით, არაფერი შეცვლილა. მთელი შენობა მოძველებულია და საჭიროებს რემონტს, შენობაში კედლები ნესტიანი და დაობებულია, განსაახლებელია ავეჯი და სხვა ინვენტარიც.³⁰ მოსაწესრიგებელია თავშესაფრის ეზოს ღობე, რომელიც ძალიან დაბალია და ვერ უზრუნველყოფს კონფიდენციალობის დაცვას. მნიშვნელოვანია, რომ მოწოდებული ინფორმაციით, ეზოს/ღობის მოპირკეთება დაგეგმილია და მიმდინარე წლის ბოლომდე დასრულდება. **ქუთაისის თავშესაფარში**, შენობის კედლები სარემონტოა, ინვენტარის ნაწილი გასაახლებელია.³¹ **ბათუმის თავშესაფარი** სარემონტოა, ავეჯის ნაწილი - შესაცვლელი.³² **სიღნაღის თავშესაფარში**, ავეჯის და ინვენტარის ნაწილი ასევე გასაახლებელია³³, ბენეფიციართა ოთახებში არ იყო საკმარისი განათება, ხოლო 2 ოთახში

²⁸ გიერმანი, ლისკა (2013) ძალადობის რისკის ქვეშ ან მსხვერპლი გოგონებისა და ქალების თავშესაფრები. ძალადობის მსხვერპლ ქალთა თავშესაფრები. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://www.sheltersafe.ca/> [ბოლოს ნანახია 2020 წლის 18 მარტს].

²⁹ თავშესაფრის სტანდარტები და რეგულაციები, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, 2007.

³⁰ გორის თავშესაფარში ფანჯრების სახელურები მოტეხილია, ფარდა/ჟალუზები ჩამოხეული და შესაცვლელია. აბაზანა-ტუალეტებში ჩასატარებელია სანტექნიკური სამუშაოები, პირველი სართულის სააბაზანო/ტუალეტებში არ არის ცხელი წყალი. ფანჯარაზე კვლავ არ არის ჟალუზი და ეზოში მდგარი საცხოვრებელი სახლიდან შესაძლოა პირდაპირ აბაზანის დანახვა. ყველა სააბაზანოში მოშლილია საშაპეები და ონკანები. რამდენიმე საპირფარეოში არ მუშაობს უნიტაზის ჩასარეცხი სისტემა.

³¹ მეორე სართულის შესაცვლელ ოთახში იატაკი ჩავარდნილია. ასევე არ მუშაობს სააბაზანოში ონკანები. ფანჯრებზე ჟალუზები შესაცვლელია.

³² ბათუმის თავშესაფარში, სამზარეულოში, გაზქურის ქვედა ნაწილი (საცხობი) არ მუშაობს.

³³ სიღნაღის თავშესაფარში ბენეფიციართა ოთახებში რიგი ინვენტარი დაზიანებული იყო, კარადის კარი - მოტეხილი და ჩამოვარდნილი, ასევე არ იხურებოდა ტუმბოს უჯრები. სამზარეულოს არ ჰქონდა გამწოვი, სამზარეულოს ჭურჭლის კარადის კარი მორყეული იყო და ვიზუალურად მოძველებული.

დენის კაბელი კუსტარულად იყო შეყვანილი, რაც თავშესაფარში მცხოვრები პირებისთვის საფრთხის შემცველია.

დამატებით, რამდენიმე წელია სიღნაღის თავშესაფარში მოსაწესრიგებელია სანტექნიკა. ბენეფიციარების თქმით, შენობაში შესასვლელი კარი ზამთარ-ზაფხულ ღია აქვთ, რათა კანალიზაციის სუნი შენობის მეორე სართულზე არ გავრცელდეს, სადაც მათი საცხოვრებელი ოთახებია განლაგებული.

თავშესაფრები ნაწილობრივ არის ადაპტირებული ეტლით მოსარგებლე პირებისთვის.³⁴ სხვა სახის შეზღუდვების მქონე პირებისთვის თავშესაფრები ადაპტირებული არ არის.

თავშესაფრებში მეტნაკლებად უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობა/გაგრილების სისტემები, თუმცა ბათუმის და სიღნაღის თავშესაფარში ამ კუთხით პრობლემა გამოვლინდა. ბათუმის თავშესაფარში გამორთული იყო გათბობის სისტემა, რის მიზეზადაც ადმინისტრაციამ კარგი ამინდი დაასახელა.³⁵ რაც შეეხება სიღნაღის თავშესაფარს, შენობის ნაწილში გათბობა გამორთული იყო. გამოკითხვისას ბენეფიციარებმა აღნიშნეს, რომ გათბობის სისტემას შენობის ამ ნაწილში, კომუნალური ხარჯების დაზოგვის მიზნით, მხოლოდ ზაფხვის დაბანის დროს რთავენ.

თავშესაფრებში მისაწვდომია სერვისის მიმწოდებელთა საკონტაქტო ინფორმაცია. აღსანიშნავია, რომ გორის, სიღნაღის და ბათუმის თავშესაფრებში გამოკრული არ იყო საქართველოს სახალხო დამცველის ცხელი ხაზის ნომერი. გორის თავშესაფარში თვალსაჩინო ადგილას არ იყო განთავსებული უკუკავშირის ჟურნალი. ასევე არ იყო გასაჩივრების ყუთი.³⁶ სიღნაღის თავშესაფარში გამოკრული არ იყო წყალგაყვანილობისა და სხვა ადგილობრივი სამსახურების ნომრები.

სიღნაღში მეორე სართულის აბაზანა გაუქმებულია. პირველ სართულზე აბაზანაში 2 კაბინაა, მათგან მხოლოდ ერთია ფარდით იზოლირებული. ერთ-ერთ კაბინაში დაზიანებულია შხაპი და საერთოდ არა აქვს თავი. დაზიანებულია მეორე სართულის (ბენეფიციარებისთვის განკუთვნილი) საპირფარეშოებიც. სიღნაღში, საერთო ოთახში განთავსებული ტელევიზორი დიდი ხანია არ მუშაობს.

³⁴ აქვე აღსანიშნავია, რომ სიღნაღის, გორის, ქუთაისის და ბათუმის თავშესაფარში საინფორმაციო მასალა კედლებზე საკმაოდ მაღლაა გამოკრული, შესაბამისად, ეტლით მოსარგებლე პირისთვის ამ მასალის გაცნობა რთული იქნება. ქუთაისშიც მაღალზეა განთავსებული გასაჩივრების ყუთი და უკუკავშირის ჟურნალი. დამატებით, გორის და ქუთაისის თავშესაფარში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის განკუთვნილ ოთახში ფანჯრები მაღალზეა. ქუთაისის თავშესაფარში ოთახის კარი შიგნიდან იღება, რაც ართულებს ეტლით მოსარგებლის გადაადგილებას. ბათუმის და სიღნაღის თავშესაფარში მხოლოდ პანდუსი და საპირფარეშოა ადაპტირებული. დამატებით, სიღნაღის თავშესაფარში თხევადი საპნის ჭურჭელი განთავსებულია მაღლა, ასევე არაა ადაპტირებული ნიჟარა.

³⁵ გასულ წლებში, შემოდგომა-ზამთრის პერიოდში განხორციელებული ვიზიტებისას, ბათუმის თავშესაფარში გათბობა ჩართული არ ყოფილა, რაც აჩენს ეჭვს, რომ ბათუმის თავშესაფარში რესურსების დაზოგვის მიზნით, ადმინისტრაცია გათბობას არ რთავს.

³⁶ მოწოდებული ინფორმაციით, ყუთი რემონტის დროს ჩამოხსნეს და შემდეგ დაავიწყდათ დაკიდება, თუმცა აღსანიშნავია, რომ რემონტი რამდენიმე თვის წინ გაკეთდა (შეიღება კედლების ნაწილი).

გამოკითხულ ბენეფიციართა უმეტესობამ აღნიშნა, რომ კმაყოფილია თავშესაფარში განთავსებისას მიწოდებული პირადი ჰიგიენის საშუალებებით, თუმცა ნაწილმა უკმაყოფილება გამოთქვა მიწოდებული ნივთების ხარისხთან დაკავშირებით.³⁷ მონიტორინგისას ჰიგიენის საშუალებების მარაგი ყველა თავშესაფარში საკმარისი იყო, თუმცა გაირკვა, რომ რიგ შემთხვევაში პრობლემურია სეზონის და ასაკის შესაფერისი ტანსაცმლით/ფეხსაცმლით ბენეფიციარების უზრუნველყოფა. განსაკუთრებით პრობლემურია, რომ თავშესაფარებში არ არის პირველადი მოხმარების ტანსაცმლის მარაგი.³⁸

მონიტორინგის შედეგად ვლინდება, რომ ბენეფიციარები თავად არიან პასუხისმგებელი საკუთარი ოთახების დასუფთავებაზე. აღსანიშნავია, რომ გასული წლისგან განსხვავებით, ბენეფიციარები ნაკლებად გამოთქვამენ პრეტენზიას სისუფთავის თაობაზე. თუმცა თავშესაფარებში სახალხო დამცველის წარმომადგენლების მოულოდნელი ვიზიტისას გამოვლინდა სისუფთავესთან დაკავშირებული პრობლემები. კერძოდ, **ქუთაისის, გორის და სიღნაღის** თავშესაფარში ანტისანიტარიული მდგომარეობა იყო, განსაკუთრებით, საპირფარეშოებში, ხოლო სიღნაღის თავშესაფარის სამზარეულოში შეინიშნებოდა მწერები.

როგორც მონიტორინგის შედეგად ვლინდება, განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარების მატერიალურ-ტექნიკური რესურსით უზრუნველყოფა, ეზოებისა და ბავშვებზე ორიენტირებული ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა და საყოფაცხოვრებო ინვენტარის განახლება, ასევე მნიშვნელოვანია, თავშესაფარის ადმინისტრაციამ მეტი ყურადღება დაუთმოს სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას.

³⁷ ქუთაისის, სიღნაღის და გორის თავშესაფარის თითო ბენეფიციარმა უკმაყოფილება გამოთქვა მიწოდებული ჰიგიენური საშუალებების ხარისხთან დაკავშირებით. მაგალითად, სიღნაღში პრეტენზია გამოითქვა შამპუნის, ხოლო გორსა და ქუთაისში ჰიგიენური პაკეტების ხარისხთან დაკავშირებით, ასევე აღინიშნა, რომ სურვილის მიუხედავად, არ მიწოდებთ ერთჯერადი ჰიგიენური საფენები. დამატებით, ქუთაისის თავშესაფარის ბენეფიციარმა აღნიშნა, რომ მიწოდებული საშუალებები უხარისხოა. ქუთაისის თავშესაფარში თქვეს, რომ თავშესაფარში არ აქვთ საბავშვო ხაზის ჰიგიენის საშუალებები (მაგალითად, საპონი, შამპუნი).

³⁸ მაგალითად, სიღნაღის თავშესაფარში საერთოდ არ იყო ტანსაცმლის მარაგი, ხოლო ბათუმის, ქუთაისის და გორის თავშესაფარში ჰქონდათ მხოლოდ ჩუსტები და მაისურები. გორის და ქუთაისის თავშესაფარის ბენეფიციარებმა თქვეს, რომ მათ დაურიგეს გარკვეული ტანისამოსი, ამ მხრივ პრობლემა გამოიკვეთა ბათუმსა და სიღნაღში, სადაც, საჭიროების მიუხედავად, ვერ მოხერხდა ბენეფიციარების ტანსაცმლით უზრუნველყოფა.

დამატებით, სიღნაღში ბენეფიციარებთან საუბრისას, გაირკვა, რომ მათ არ აქვთ პირველადი საჭიროების ისეთი ნივთები, როგორცაა სავარცხელი, საცვლები და სხვ. თავშესაფარში მათ გადასცეს რეზინის ოთახის ჩუსტები, რომელთა ზამთარში გამოყენებაც მიზანშეუწონელია. ასევე აღინიშნა, რომ ერთ-ერთი ბენეფიციარის შვილს, რომელიც სასკოლო ასაკისაა, ძალიან პატარა ზომის ფეხსაცმელმა ფეხები დაუზიანდა. ფეხსაცმლის უქონლობის გამო მოზარდი ვერ ახერხებდა სკოლაში სიარულს. სოციალური მუშაკის განმარტებით, თავშესაფარს არც პირველადი მოხმარების ნივთების (ძირითადად საუბარი ეხებოდა საცვლებს) გადაცემა ევალება და არც ტანსაცმლის. თავშესაფარში ინახებოდა ტანსაცმელი, რომელიც შემოწირულობის სახით ჰქონდათ მიღებული.

7. კვება

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ინფორმაციით, ბენეფიციარების კვების რაციონი ნუტრიციოლოგების მიერ არის შემუშავებული და საკვები ბენეფიციარებს სტანდარტული (აგრეთვე, დიეტური/დიაბეტური) მენიუების შესაბამისად მიეწოდებათ. საკვებ პროდუქტებს ფონდი ცენტრალიზებულად (სატენდერო პროცედურების შესაბამისად) შეისყიდის, მიწოდება კი, ადგილობრივად - მოთხოვნის საფუძველზე ხდება.³⁹

სახალხო დამცველის წარმომადგენლების ვიზიტისას, დღის მენიუ არსებული საკვები მარაგის შესაბამისი იყო, თავად საკვები მარაგის შემოწმებისას კი თვალში საცემი იყო მრავალფეროვანი პროდუქტების ნაკლებობა, კერძოდ:

გორის თავშესაფარში საკვები მარაგის შემოწმებისას, აღმოჩნდა, რომ ბოსტნეულის მარაგი ერთფეროვანი იყო. **ქუთაისის** თავშესაფარის მარაგში არ იყო ხილი. **ბათუმის** თავშესაფარში არ აღმოჩნდა მრავალფეროვანი რძის პროდუქტები და ხილი. აღსანიშნავია, რომ **სიღნაღის** თავშესაფარის მარაგში არ იყო საქონლის ხორცი ბენეფიციარებისთვის, მაცივარში შენახულ ხორცს ჰქონდა წარწერა - „ადმინისტრაცია“.

სიღნაღის თავშესაფარში გაყინულ პროდუქტებზე მითითებული არ იყო შენახვის ვადა. როგორც გვეცნობა, ვადა მითითებულია მთლიან შეფუთვაზე, თუმცა პროდუქტების განცალკევების შემდეგ ვადას აღარ უთითებენ, რაც დაუშვებელია, რადგან შეუძლებელს ხდის კონკრეტული პროდუქტის ვარგისიანობის გაკონტროლებას.

დამატებით, საყურადღებოა **სიღნაღის** თავშესაფარში ბენეფიციარებისთვის განკუთვნილი საკვების განაწილების წესი. კერძოდ, მაცივარში ინახებოდა ბენეფიციართა სახელობითი კონტეინერები. თავშესაფარის ბუღალტრის ინფორმაციით, თავშესაფარში პროდუქტები წინასწარ განსაზღვრული რაოდენობით და გრამაჟით გაიცემა. იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარი მოითხოვს საკვების დამატებას, ბუღალტერმა ოქმი უნდა შეადგინოს.

მონიტორინგისას მიღებული ინფორმაციით, ბენეფიციარები ერთმანეთში ინაწილებენ პროდუქტებს და დამატების თხოვნით იშვიათად მიმართავენ ადმინისტრაციას. ბუნებრივია, საკვების ამგვარი განაწილების პრაქტიკამ, შესაძლოა, კონფლიქტი წარმოშვას, რის გამოც, უკეთესი იქნება, თუკი ადმინისტრაცია შეცვლის აღნიშნულ პრაქტიკას.

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ ბენეფიციართა ნაწილისთვის საკვების ულუფები არასაკმარისია. კერძოდ, გორის, ქუთაისის და ბათუმის თავშესაფარში მცხოვრებმა რამდენიმე ბენეფიციარმა აღნიშნა, რომ საკვების ულუფები ზოგჯერ არ არის საკმარისი, დამატების შესაძლებლობა კი არ აქვთ. ასევე აღნიშნა, რომ სიღნაღის თავშესაფარში ხილი იშვიათობაა.

³⁹ № 07/91, 27/იანვარი/2020 წ.

მისასაღმებელია, რომ თავშესაფრებისთვის შემუშავებულია კვების სტანდარტი, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ადმინისტრაციამ მეტი ყურადღება დაუთმოს დადგენილი კვების სტანდარტების დაცვას, არსებული ხარვეზების გამოსწორებასა და ბენეფიციარებისა და მათზე დამოკიდებული პირებისათვის მრავალფეროვანი კვებითი ღირებულებისა და სეზონის შესაბამისი საკვების შეთავაზებას.

8. ბენეფიციართა რეაბილიტაცია და ძალადობისგან თავისუფალი ცხოვრებისთვის მომზადება

თავშესაფრებში განთავსებული პირებისთვის უკიდურესად მნიშვნელოვანია ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის პროგრამები და ბენეფიციართა ისეთი უნარებით აღჭურვა, რომლებიც მათ დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადებაში დაეხმარება.

ძალადობის მსხვერპლთა რეაბილიტაციისა და ძალადობისგან თავისუფალი ცხოვრებისათვის მომზადების კუთხით, კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება სოციალური შემწეობის დროულად დანიშვნა და გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფა.⁴⁰

მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს, რომ ბენეფიციარების უმეტესობა კმაყოფილია ფსიქოლოგის სერვისით და მიაჩნია, რომ ეს მათ რეაბილიტაციაში ეხმარებათ.⁴¹ შეხვედრები ტარდება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად. თუმცა, ენის ბარიერის გამო, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ბენეფიციარებისთვის რთულია ფსიქოლოგის სერვისის მიწოდება.

მონიტორინგის საფუძველზე მიღებული ინფორმაციის თანახმად, თავშესაფრებში ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის პროგრამების რაოდენობა და ამ მიმართულებით დაგეგმილი აქტივობები კვლავ ძალიან მწირია და ვერ უზრუნველყოფს ბენეფიციარებისთვის გრძელვადიანი და თანმიმდევრული რეაბილიტაციის პროგრამების შეთავაზებას. ადმინისტრაციის ინფორმაციით, ბენეფიციარებისთვის ეწყობა სხვადასხვა სახის სარეკრეაციო და გასართობი ღონისძიებები, თუმცა გამოკითხული ბენეფიციარების უმეტესობა ამგვარ ღონისძიებას ვერ იხსენებს ან მასში მონაწილეობა არ მიუღია.

უნდა აღინიშნოს, რომ თავშესაფარში განსაკუთრებული პრობლემაა მცირეწლოვან/არასრულწლოვან დამოკიდებულ პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია. ზოგ თავშესაფარში შეინიშნება ასაკის შესაბამისი საბავშვო სათამაშოების, წიგნების და

⁴⁰ ოჯახში ძალადობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებების (თავშესაფრის) 2018 წლის მონიტორინგის ანგარიშში სახალხო დამცველის ერთ-ერთი რეკომენდაცია იყო სოციალური შემწეობის მიღების და გაუქმების პროცედურების იმგვარად დარეგულირება, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლისთვის, თავშესაფრის დატოვების შემდეგ, სტატუსის აღდგენა შესაძლებელი ყოფილიყო ავტომატურად. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://bit.ly/2IzILIG> [ბოლოს ნანახია 2020 წლის 18 მარტს].

⁴¹ ფსიქოლოგთან ვიზიტი დამოკიდებულია ბენეფიციარის სურვილზე, თუმცა მათი უმეტესობა იყენებს ამ შესაძლებლობას.

ბავშვებზე მორგებული შემეცნებითი ღონისძიებების ნაკლებობა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბათუმის თავშესაფარი, სადაც ბავშვებისთვის არ არის ბიბლიოთეკა, არც რაიმე სახის გასართობი, მათ შორის, არც სათამაშოები.

8.1. დასაქმება

თავშესაფარში განთავსებულ პირთა უმეტესობა მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების წინაშე დგას. შესაბამისად, ბენეფიციართა გასაძლიერებლად, განსაკუთრებული როლი ენიჭება მათ დასაქმებას.

ბენეფიციარებს თავშესაფარი სთავაზობს გადამზადების სხვადასხვა შესაძლებლობას და ხელს უწყობს მათ დასაქმებას. თავშესაფარი Worknet-ის პროგრამების ფარგლებში თანამშრომლობს როგორც სოციალურ სამსახურთან, ისე, პირადი კონტაქტების გამოყენებით, ბენეფიციარების შესაძლებლობის და უნარების მიხედვით, ცდილობს კერძო სექტორში ვაკანსიების მოძიებას.

თავშესაფარი ახერხებს ზოგიერთი ბენეფიციარის გადამზადებას და დასაქმებას (ძირითადად მომსახურების სფეროში), თუმცა ეს საკითხი, რიგ შემთხვევებში, კვლავ პრობლემად რჩება. კერძოდ, მონიტორინგისას გამოვლინდა, რომ თავშესაფარებში ბენეფიციარებს ჰყოფენ შესაძლებლობების მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარი თავად არ არის მონდომებული და განათლების მიღების თუ დასაქმების ნაკლები შესაძლებლობა აქვს, თავშესაფარი არ მიმართავს ძალისხმევას მათი მოტივაციის ასამაღლებლად და გასაძლიერებლად, რაც ცალსახად არასწორი პრაქტიკაა.

სახალხო დამცველის მიერ შესწავლილი საქმეების მიხედვით, ყოფილა შემთხვევა, როდესაც ერთმა და იმავე ბენეფიციარმა თავშესაფრით რამდენჯერმე ისარგებლა. რა თქმა უნდა, განმეორებითი ძალადობის და საფრთხის არსებობისას, მსხვერპლს აქვს ამის უფლება, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში თავშესაფრის სერვისით განმეორებით სარგებლობა სწორედ არასათანადო რეაბილიტაციას უკავშირდება. ამასთან, მნიშვნელოვანია, თავშესაფარი განსაკუთრებით ზრუნავდეს იმ ბენეფიციართა დასაქმებასა და გაძლიერებაზე, რომელთაც არ აქვთ საჭირო უნარ-ჩვევები ან/და მოტივაცია.

8.2 მუნიციპალიტეტების როლი ძალადობის მსხვერპლთა გაძლიერების მიმართულებით

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციის, აღმოფხვრისა და ძალადობის მსხვერპლთა გაძლიერების მიმართულებით. აქედან გამომდინარე, მონიტორინგისას ყურადღება გამახვილდა თავშესაფარებსა და მუნიციპალიტეტებს შორის თანამშრომლობის პრაქტიკაზე.

თავშესაფრის მონიტორინგისას სანიმუშოდ დასახელდა ქუთაისისა და გორის მუნიციპალიტეტების პრაქტიკა, რომლებმაც გაითვალისწინეს სახალხო დამცველის

რეკომენდაცია.⁴² შესაბამისად, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა/დაზარალებულთა ბინის ქირით უზრუნველყოფა დამოკიდებულია არა მათ იურიდიულ, არამედ ფაქტობრივ მისამართზე.

დადებითად უნდა შეფასდეს ოზურგეთის, გორისა და ქუთაისის თავშესაფრების თანამშრომლობაც, ამავე ქალაქების საკრებულოს გენდერულ საბჭოებთან, საჭიროებების განსაზღვრისა და ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში.

გენდერული თანასწორობის კუთხით, არაერთგვაროვანი პოლიტიკის გამო, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების უმრავლესობა ძალადობის მსხვერპლთა საჭიროებებს გულგრილად ეკიდება და კონკრეტულ მხარდამჭერ სერვისებს ნაკლებად სთავაზობს.

კერძოდ, პრობლემა გამოიკვეთა ბათუმის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან თანამშრომლობისას. მოწოდებული ინფორმაციით, საბჭოს წევრებს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევების მიმართ, არ აქვთ საკმარისი მგრძნობელობა. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები ხშირად იძლევიან დაპირებას სიტყვიერად/ზეპირად, თუმცა მსხვერპლთა დასახმარებლად კონკრეტული ნაბიჯები არ იდგმება.⁴³ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით მგრძნობელობის პრობლემაზე გაამახვილეს ყურადღება სიღნაღის თავშესაფარშიც. აღნიშნულ მუნიციპალიტეტში მსხვერპლთათვის განკუთვნილი სერვისები მოუქნელია და გრძელვადიანი საცხოვრისით უზრუნველყოფა მსხვერპლის იურიდიულ მისამართზეა დამოკიდებული.

შესაბამისად, თავშესაფრის დატოვების შემდეგ ბენეფიციარების მხარდაჭერა კვლავ გამოწვევად რჩება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შეუძლებელია ქვეყნის მასშტაბით 2 წლამდე ასაკის ბავშვების ბაგა-ბაღებში მიყვანა, რაც აფერხებს მართლაც მშობლის დასაქმების შესაძლებლობას.

მნიშვნელოვანია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეტად გააქტიურება, თავშესაფრებსა და კრიზისულ ცენტრებთან თანამშრომლობის გაძლიერება და ძალადობის მსხვერპლებისთვის საჭიროებებზე მორგებული, სპეციალური, მხარდამჭერი პროგრამების შემუშავება.

⁴² ხშირად, ძალადობის მსხვერპლი, განმეორებითი ძალადობისგან თავის ასარიდებლად, ცდილობს საცხოვრებელი რეგიონი შეიცვალოს. იმ შემთხვევაში, თუ მუნიციპალიტეტის ბინის ქირით უზრუნველყოფის პროგრამა მოუქნელია, ძალადობის მსხვერპლი ამ მხარდაჭერის მიღმა რჩება. ბუნებრივია, ეს კიდევ უფრო ამძიმებს სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების წინაშე მყოფი ძალადობის მსხვერპლის მდგომარეობას.

⁴³ ბათუმის მუნიციპალიტეტში პრობლემაა სხვა რეგიონში რეგისტრირებული მსხვერპლებისთვის დახმარების გაცემა, ასევე, მოლაპარაკებების მიუხედავად, ამ დრომდე მოუგვარებელია ბენეფიციარებისთვის ტრანსპორტით შეღავათიანად სარგებლობის საკითხი.

9. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისული ცენტრების შეფასება

კრიზისული ცენტრი სავარაუდო მსხვერპლთა და მსხვერპლთა დროებითი განთავსების ადგილია, სადაც უზრუნველყოფილია გადაუდებელი სერვისებით სარგებლობა. კრიზისული ცენტრით სარგებლობა შეუძლიათ იმ პირებს, რომლებსაც არ აქვთ მინიჭებული მსხვერპლის სტატუსი, ან სავარაუდო მსხვერპლები არიან.

დღესდღეობით, საქართველოში ფუნქციონირებს 5 კრიზისული ცენტრი: ქუთაისში, გორში, ოზურგეთში, მარნეულსა და თბილისში. ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისულ ცენტრში ჩარიცხვას ექვემდებარება ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და სექსუალური ხასიათის ძალადობის (შემდგომში ძალადობის) მსხვერპლი/დაზარალებული/სავარაუდო მსხვერპლი (მათზე დამოკიდებულ პირებთან ერთად).

კრიზისული ცენტრების სერვისი ფარავს შემდეგ საჭიროებებს: ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია; სამედიცინო მომსახურების ორგანიზება/მიღება; სამართლებრივი დახმარება; საჭიროების შემთხვევაში, თარჯიმნის მომსახურება; საჭიროების შემთხვევაში, სხვა მომსახურება. მონიტორინგის ფარგლებში შემოწმდა და შეფასდა 5-ვე კრიზისულ ცენტრში არსებული სერვისები. აღსანიშნავია, რომ სადღეღამისო საცხოვრისით ბენეფიციარებს სერვისს მხოლოდ თბილისის კრიზისული ცენტრი სთავაზობს. რაც შეეხება ოზურგეთის, მარნეულის, გორისა და ქუთაისის კრიზისულ ცენტრებს, იქ შესაძლებელია მხოლოდ დღის სერვისით სარგებლობა.⁴⁴

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდისგან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, 2019 წელს კრიზისული ცენტრების სერვისებით მოსარგებლე ბენეფიციართა საერთო რაოდენობა შეადგენდა 242 პირს, მათ შორის იყო: 118 სრულწლოვანი მსხვერპლი/დაზარალებული, 31 არასრულწლოვანი მსხვერპლი/დაზარალებული, 57 მსხვერპლზე/დაზარალებულზე დამოკიდებული პირი, 26 სავარაუდო მსხვერპლი და 10 სავარაუდო მსხვერპლზე დამოკიდებული პირი.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, თბილისის კრიზისულმა ცენტრმა ყველაზე მეტ პირს გაუწია მომსახურება, სულ მომსახურებით 186 პირმა ისარგებლა. მიუხედავად ამისა, თბილისში, კრიზისული ცენტრის სადღეღამისო საცხოვრებლით სავარაუდო მსხვერპლთა სარგებლობის მაჩვენებელი, საკმაოდ დაბალია.⁴⁵

⁴⁴ მარნეულის, გორის, ოზურგეთის, ქუთაისის ძალადობის მსხვერპლთა კრიზისულ ცენტრებში მომსახურების მიღება შესაძლებელია სამუშაო დღეებში 10:00 საათიდან 18:00 საათამდე, რაც შეეხება თბილისის კრიზისულ ცენტრს, იგი სადღეღამისოა, თუმცა თბილისის კრიზისული ცენტრის ადმინისტრაცია 10:00 საათიდან 18:00 საათამდე მუშაობს.

⁴⁵ იხ. ცხრილი №2.

რაც შეეხება რეგიონში მდებარე კრიზისულ ცენტრებს, აქ მომსახურების მიმღებთა მაჩვენებელი კრიტიკულად დაბალია⁴⁶, რაც ბადებს შეკითხვებს მათ მიერ სერვისების და ინფორმაციის სწორად მიწოდებასთან დაკავშირებით.

კრიზისული ცენტრების მომსახურებით მოსარგებლეთა სიმცირე რამდენიმე ფაქტორით აიხსნება. ერთი მხრივ, ნაკლებად ხდება არსებული სერვისის პოპულარიზაცია და მოსახლეობის ინფორმირება. მეორე მხრივ, სახალხო დამცველის აპარატს, ინდივიდუალური საქმეების შესწავლისას რამდენიმე მსხვერპლმა აცნობა, რომ ცხელ ხაზზე⁴⁷ კონსულტაციისას მსხვერპლის სტატუსის ფლობაზე მიუთითეს, როგორც სერვისის მიღების აუცილებელ წინაპირობაზე (მაშინ როდესაც პირს შესაძლოა არ ჰქონდეს მსხვერპლის სტატუსი და სწორედ ამ მიზნით ესაჭიროებოდეს კრიზისული ცენტრის დახმარება, მაგალითად, დახმარება დამცავი ორდერის გამოცემის მიმართულებით). ასევე არის შემთხვევები, როდესაც შესაძლო მსხვერპლს/მსხვერპლს არასამთავრობო ორგანიზაციაში ამისამართებენ, ძალადობისაგან დაცვისა და დახმარების სერვისების მისაღებად.


დამატებით, გორისა და ქუთაისის კრიზისულ ცენტრებში დასაქმებული პერსონალი პარალელურად მუშაობს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრებში. სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს პოზიციით, დასაქმებული პერსონალის გამიჯვნის საკითხი დღის წესრიგში დადგება ბენეფიციართა მიმართვიანობის გაზრდის შემდგომ, რისი საჭიროებაც, მათი პოზიციით, გორსა და ქუთაისში ამ ეტაპზე არ იკვეთება.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის მოწოდებული ინფორმაციით, გორის კრიზისული ცენტრი ხშირად დაკეტილია. ამ ფონზე რთულია მიმართვიანობის ზრდაზე საუბარი. მნიშვნელოვანია ადგილზე თავად კრიზისული ცენტრის პერსონალის ძალისხმევა, თავიანთი სერვისების თაობაზე ცნობიერების ასამაღლებლად, რაც საბოლოო ჯამში გაზრდის მიმართვიანობას. მოცემულ ეტაპზე, მონიტორინგის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ თავშესაფრებსა და კრიზისულ ცენტრში საერთო პერსონალის მუშაობა უარყოფითად აისახება როგორც სერვისის მიწოდების ხარისხზე, ისე სერვისით მოსარგებლე პირთა რაოდენობაზე.

⁴⁶ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში (2019 წელი), გორის კრიზისული ცენტრის მომსახურებით ისარგებლა 19-მა პირმა, ოზურგეთის კრიზისული ცენტრის მომსახურებით - 25-მა პირმა, ქუთაისის კრიზისული ცენტრით - 9 პირმა, ხოლო მარნეულის კრიზისული ცენტრის მომსახურებით ისარგებლა 3-მა პირმა.

⁴⁷ სსიპ ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის მიერ ქალთა მიმართ, ოჯახში ძალადობის და ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა საკონსულტაციო ცხელი ხაზის მეშვეობით მიღებული შეტყობინებების რაოდენობასა და თემატიკასთან დაკავშირებით გვეცნობა, რომ 2019 წელს საკონსულტაციო ცხელ ხაზზე (116 006) ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახში ძალადობისა და სექსუალური ძალადობის საკითხებზე, შემოვიდა 1455 ზარი (მათ შორის: 1112 ქალი და 343 კაცი), ხოლო ტრეფიკინგის საკითხებზე სულ შემოვიდა 25 ზარი (მათ შორის: 15 ქალი და 10 კაცი). წერილი №07/91, 27/იანვარი/2020 წ.

ცხრილი №2. კრიზისული ცენტრების მიერ 2019 წელს გაწეული მომსახურებები



გორის კრიზისულ ცენტრში დასაქმებულია იურისტი, ფსიქოლოგი და სოციალური მუშაკი. ცენტრში ბენეფიციართა რეფერირება ძირითადად ხდება სოციალური სამსახურიდან და პროკურატურიდან. კრიზისულ ცენტრში, რომელიც ბენეფიციარებს მხოლოდ დღის სერვისს სთავაზობს, გამოწვევად დასახელდა რთულად მისაღწები ადგილმდებარეობა, პროფესიულ საკითხებზე ტრენინგების სიმცირე და კადრების დამატების საჭიროება.

ქუთაისის კრიზისული ცენტრი ბენეფიციარებს სთავაზობს იურისტის, ფსიქოლოგის და სოციალური მუშაკის სერვისს დღის განმავლობაში. ბენეფიციართა რეფერირება აღნიშნული სერვისების მისაღებად, ძირითადად ხდება სოციალური სამსახურიდან და პროკურატურიდან.

ოზურგეთის კრიზისულ ცენტრში ბენეფიციართა რეფერირება ხდება სოციალური მომსახურების სააგენტოდან.

მარნეულის კრიზისულ ცენტრში ბენეფიციართა რეფერირება ძირითადად ხდება სახალხო დამცველის აპარატის ქვემო ქართლის ოფისიდან. სამწუხაროდ, ადგილობრივი პოლიცია და სოციალური სამსახური კრიზისულ ცენტრთან სათანადოდ არ თანამშრომლობს.

მნიშვნელოვანია, რომ მარნეულის კრიზისულ ცენტრში 2019 წლის განმავლობაში არ ჰყოლიათ იურისტი, რაც აფერხებდა მსხვერპლებისთვის სამართლებრივი დახმარების დროულად მიწოდებას.⁴⁸

გორის, ქუთაისის, ოზურგეთის და მარნეულის კრიზისულ ცენტრებში არ არის გამოყოფილი სივრცე ბავშვებისთვის. პრობლემას ქმნის ისიც, რომ სოციალურ მუშაკს ან ფსიქოლოგს თავად

⁴⁸ 2020 წელს მარნეულის კრიზისულ ცენტრში დასაქმდა იურისტი, რომელიც ფლობს აზერბაიჯანულ ენას.

უწევთ ოფისის დალაგება/დასუფთავება, ასევე საოფისე საქმის შესრულება. პრობლემად დასახელდა ტრანსპორტირებაც.⁴⁹

თბილისის კრიზისულ ცენტრში, გასაუბრება გაიმართა თავშესაფრის სრულ პერსონალთან და გამოიკითხა 2 ბენეფიციარი, ასევე დათვალა იერდა ფიზიკური გარემო და შემოწმდა კვების კუთხით არსებული მდგომარეობა.

მონიტორინგის დროს თავშესაფრის სერვისით სარგებლობდა 9 პირი, მათგან 5 დამოკიდებული.⁵⁰ ზოგადად, თბილისის თავშესაფრებზე მოთხოვნა, რეგიონის თავშესაფრებთან შედარებით, მაღალია. გაზრდილი მოთხოვნიდან გამომდინარე კი, თბილისის თავშესაფარში ბენეფიციარები განსაზღვრული კრიტერიუმებით განთავსდებიან, კერძოდ, თუ ძალადობის მსხვერპლი დასაქმებულია თბილისში, თუ აქვს ჯანმრთელობის პრობლემა და მომსახურებას იღებს თბილისში, ასევე, თუ მისი გადაადგილება საფრთხის შემცველია.

სოციალური მუშაკისა და იურისტის ინფორმაციით, ბოლო პერიოდის განმავლობაში, თბილისის კრიზისულ ცენტრში გაზრდილია მიმართვიანობა. მათ, ხარისხიანი სერვისის მისაწოდებლად, მიზანშეწონილად მიაჩნიათ კადრის დამატება.

რაც შეეხება თბილისის კრიზისულ ცენტრში კვებისა და ფიზიკური გარემოს კუთხით არსებულ მდგომარეობას, სხვა თავშესაფრებისგან განსხვავებით, შენობა კარგ მდგომარეობაშია, თუმცა ამ შემთხვევაშიც გამოიკვეთა სანიტარულ-ჰიგიენური პრობლემა.⁵¹

თბილისის კრიზისული ცენტრი საკმარისად იყო მომარაგებული საკვები პროდუქტებითა და ჰიგიენის საშუალებებით. თუმცა გარკვეული პრობლემები გამოვლინდა საკვების ვადების დაცვის მხრივ.⁵²

აღსანიშნავია, რომ კრიზისული ცენტრები ადაპტირებულია მხოლოდ ეტლით მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, ხოლო სხვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სივრცე მისაწვდომი არ არის.

⁴⁹ როგორც სოციალურმა მუშაკმა აღნიშნა, როდესაც საინფორმაციო შეხვედრებს გეგმავს, ან ბენეფიციარის მდგომარეობის გადამოწმების აუცილებლობის საკითხი დგას და სოფლებში გასვლა უწევს, ტრანსპორტი პრობლემა და ბიუროკრატიული წესების გამო ფერხდება.

⁵⁰ ადგილზე მხოლოდ 2 პირი იმყოფებოდა, რომლებმაც მიიღეს მონაწილეობა მონიტორინგის პროცესში. გამოკითხულთაგან 1 პირი კრიზისულ ცენტრში ცხოვრობდა, მეორე პირი კი მხოლოდ დღის სერვისით სარგებლობდა.

⁵¹ ტუალეტებსა და საშხაპეებში ანტისანიტარია იყო, კედლები და ნიჟარები - ჭუჭყიანი. არ იყო საპონი და ხელსახოცები. სარკე დაზიანებული იყო.


⁵² მაცივარში ინახებოდა ვადაგასული მაწონი და დაობებული სალათი, მაწვნის ქილაში. როგორც აღინიშნა, ვადაგასულ მაწონს და რძის ნაწარმს ნამცხვრის მოსამზადებლად იყენებენ. ასევე აღსანიშნავია, რომ გაყინულ პროდუქტებზე ვადა მითითებული არ იყო, როგორც აღინიშნა, ვადა აწერია მთლიან შეფუთვას, თუმცა, პროდუქტების განცალკევების შემდეგ ვადებს აღარ უთითებენ.

10. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სერვისების შეფასება

თბილისისა და ბათუმის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებები (თავშესაფრები) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის სტრუქტურული ერთეულებია. თავშესაფარში ჩარიცხვას ექვემდებარება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი/დაზარალებული (მასზე დამოკიდებულ პირებთან ერთად). ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების თავშესაფრები ბენეფიციარებს უზრუნველყოფენ შემდეგი მომსახურებებით: სადღეღამისო საცხოვრისით (თავშესაფარში); ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციით; სამედიცინო მომსახურების ორგანიზებით/მიღებით; სამართლებრივი დახმარებით; საჭიროების შემთხვევაში, თარჯიმნის მომსახურებით.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფრების) მონიტორინგი ჩატარდა მხოლოდ ბათუმში, რადგან თბილისში მდებარე თავშესაფარი დახურული იყო მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გამო. მონიტორინგის მიზანი იყო არსებული სერვისების შეფასება და ტრეფიკინგის მსხვერპლთა კმაყოფილების დონის განსაზღვრა.⁵³

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ინფორმაციით, ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფრით, და იქ არსებული მომსახურებებით, 2019 წელს 4-მა პირმა ისარგებლა.



⁵³ბათუმის თავშესაფარში ერთდროულად შესაძლებელია 10 ადამიანის განთავსება. მონიტორინგის დროს ბათუმის თავშესაფარში არ იმყოფებოდნენ ბენეფიციარები. შესაბამისად, მონიტორინგის მიგნებები მხოლოდ თავშესაფრის დირექტორთან გასაუბრებას დაეყრდნო.

ბათუმის თავშესაფრის ხელმძღვანელის ინფორმაციით, ბენეფიციარი დაზარალებულად ცნობის და სტატუსის საფუძველზე მიიღება.⁵⁴ თავშესაფარში ტრეფიკინგის მსხვერპლი/დაზარალებული, შესაძლებელია, 3-9 თვემდე, არასრულწლოვანი კი, 10 დღე დარჩეს.

ტრეფიკინგის მსხვერპლთა რეაბილიტაცია/რეინტეგრაცია გულისხმობს მათ დაბრუნებას თავიანთ ქვეყანაში, ხოლო დარჩენის შემთხვევაში, დოკუმენტაციის მოწესრიგებას, პროფესიულ განვითარებას და დასაქმებას.⁵⁵ რაც შეეხება ტრეფიკინგის მსხვერპლებისთვის/დაზარალებულებისთვის გაწეულ იურიდიულ მომსახურებას, აღინიშნა, რომ ყველაზე ხშირად დახმარება კომპენსაციის მიღებაში სჭირდებათ.

მოწოდებული ინფორმაციით, სექს ტრეფიკინგის მსხვერპლებისთვის სპეციფიკური სერვისები არ აქვთ. როგორც აღინიშნა, ძირითადად თანამშრომლობენ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან და საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიურ ცენტრთან, „თანადგომა“. თავშესაფარში მიღებიდან 48 საათის განმავლობაში, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ ცენტრში მოწმდება. ტრეფიკინგის საკითხებზე ტრენინგი გავლილი აქვთ მედდას, სოციალურ მუშაკს და ძიძას.

მონიტორინგის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების კუთხით თავშესაფრებში არსებული მდგომარეობა, გასულ წლებთან შედარებით, არსებითად არ შეცვლილა. კვლავ გამოწვევად რჩება გამოვლენის დაბალი მაჩვენებელი და ცნობიერების დაბალი დონე. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის შეთავაზებული სარეაბილიტაციო სერვისების სიმწირეც.

11. თანმდევი მონიტორინგი და მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების ღონისძიებები პანდემიის პირობებში

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა 2020 წელს საქართველოში მოქმედი ყველა სახელმწიფო თავშესაფარი და კრიზისული ცენტრი მონიხსულა 2019 წლის მონიტორინგისას გამოვლენილი ხარვეზებისა და რეკომენდაციების შესრულების მაჩვენებლის შესამოწმებლად. ახალი კორონა ვირუსის გავრცელებასთან ერთად, ასევე მნიშვნელოვანი იყო ინფორმაციის მიღება, თუ რამდენად ითვალისწინებენ თავშესაფრები და კრიზისული ცენტრები კოვიდ-19 პანდემიის საფრთხეებს და რა რეგულაციები არსებობს დაწესებულებებში ვირუსის თავიდან ასაცილებლად და ბენეფიციართა დასაცავად.

⁵⁴ ძირითადად იკვეთება ტრეფიკინგის მსხვერპლთა მიმართ სექსუალური ძალადობა, იძულება და შრომითი ექსპლუატაცია.

⁵⁵ რაც შეეხება არასრულწლოვან მსხვერპლებს, მათთან დაკავშირებულ ყველა გადაწყვეტილებას სოციალური მომსახურების სააგენტო იღებს.

შესაბამისად, მონიტორინგი განხორციელდა თბილისის,⁵⁶ გორის⁵⁷, ქუთაისის⁵⁸, ბათუმისა⁵⁹ და სიღნაღის⁶⁰ ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრებში. ასევე, თბილისის⁶¹, გორის⁶², ქუთაისის⁶³, ოზურგეთისა⁶⁴ და მარნეულის⁶⁵ კრიზისულ ცენტრებში. მონიტორინგი ჩატარდა არაგემიურად, თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების ადმინისტრაციასა და პერსონალთან შეუთანხმებლად. თავშესაფრების მონიტორინგი მოიცავდა როგორც ფიზიკური გარემოსა და კვების შემოწმებას, ისე პერსონალთან და ბენეფიციარებთან გასაუბრებას.

თბილისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფარში) დირექტორის ინფორმაციის თანახმად, ბოლო 5 თვის განმავლობაში მიმართვიანობა არ გაზრდილა. თუმცა საგრძნობლად მოიმატა ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევებმა, მათ შორის, პანდემიისას გამოვლენილმა სოციალურმა პრობლემებმა.⁶⁶

მიუხედავად იმისა, რომ 2019 წელს გარემონტდა თბილისის თავშესაფარი და მოხდა შენობის რეაბილიტაცია, მონიტორინგისას გამოვლინდა გარკვეული პრობლემები სისუფთავის, სანტექნიკისა⁶⁷ და დაზიანებული ავეჯის⁶⁸ კუთხით. გარდა ამისა, თბილისის თავშესაფარში პრობლემურია პირველადი დახმარების ნივთები.⁶⁹ მარაგის შემოწმებამ გამოავლინა ვადაგასული პროდუქცია⁷⁰, რაზეც გვეცნობა, რომ ამ პროდუქტს არ მოიხმარენ და იგემება მათი ჩამოწერა.

რაც შეეხება ჯანმრთელობის მდგომარეობას და პანდემიისგან დაცვის პრევენციულ ღონისძიებებს, ერთ-ერთმა ბენეფიციარმა, რომელიც თავშესაფარში იმყოფებოდა კარანტინის პერიოდიდან,⁷¹ აღნიშნა, რომ არ მიმდინარეობს მათი ყოველდღიური თერმოსკრინინგი,

⁵⁶ მონიტორინგი განხორციელდა 2020 წლის 18 აგვისტოს.

⁵⁷ მონიტორინგი განხორციელდა 2020 წლის 27 ივლისს.

⁵⁸ მონიტორინგი განხორციელდა 2020 წლის 28 ივლისს.

⁵⁹ მონიტორინგი განხორციელდა 2020 წლის 29 ივლისს.

⁶⁰ მონიტორინგი განხორციელდა 2020 წლის 19 აგვისტოს.

⁶¹ მონიტორინგი განხორციელდა 2020 წლის 8 სექტემბერს.

⁶² მონიტორინგი განხორციელდა 2020 წლის 25 აგვისტოს, 3, 7 და 9 სექტემბერს.

⁶³ მონიტორინგი განხორციელდა 2020 წლის 26 აგვისტოს.

⁶⁴ მონიტორინგი განხორციელდა 2020 წლის 27 აგვისტოს.

⁶⁵ მონიტორინგი განხორციელდა 2020 წლის 10 სექტემბერს.

⁶⁶ მონიტორინგისას თავშესაფრის სერვისით სარგებლობდა 9 სრულწლოვანი და 4 არასრულწლოვანი ბენეფიციარი.

⁶⁷ ერთ-ერთ საპირფარეოში დაზიანებული იყო მილი, საიდანაც წყალი ჟონავდა.

⁶⁸ სამზარეულოს ავეჯი საკმაოდ დაზიანებულია და საჭიროებს განახლებას.

⁶⁹ მაგალითად, საცვალი, ღამის პერანგი და ა.შ.

⁷⁰ დეოდორანტი.

⁷¹ თბილისის ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარი ვირუსის მომატებული შემთხვევების დროს საკარანტინე ზონად გადაკეთდა.

დაწესებულებაში ბენეფიციარები იცავენ მხოლოდ დისტანციას და ძირითადად მათთვის განკუთვნილ საცხოვრებელ ოთახებში იმყოფებიან.

გორის თავშესაფარში ვიზიტისას მიღებული ინფორმაციის საფუძველზე⁷², ივლისში საგრძნობლად მოიმატა ბენეფიციართა რაოდენობამ. დაწესებულებაში არ გაუთვალისწინებიათ წინა წლების რეკომენდაციები არც სისუფთავისა და ჰიგიენური ნორმების დაცვის, და არც ინვენტარის განახლების შესახებ.⁷³ რაც შეეხება ბენეფიციართა ჯანმრთელობის დაცვას, პანდემიის პირველ თვეებში თავშესაფარში კარანტინის პერიოდის გასვლის შემდგომ განთავსდებოდნენ, ხოლო ამ ეტაპზე ახალი ბენეფიციარების დაწესებულებაში მიღება ხდება კარანტინის პერიოდის გაუსვლელად. მოწოდებული ინფორმაციით, უსაფრთხოებისთვის მხოლოდ ტემპერატურა იზომება.

ქუთაისის თავშესაფარში მონიტორინგის დროს აღინიშნა, რომ პანდემიის პერიოდში არ შექმნიათ პრობლემები ბენეფიციართა მიღებასთან დაკავშირებით. ასევე, ბენეფიციარებს არ ჰქონიათ წყვეტა დასაქმებაზე. დაწესებულებაში კვლავ გამოწვევად რჩება სისუფთავის შენარჩუნება და ჰიგიენური ნორმების დაცვა.

ბათუმის თავშესაფარში ვიზიტისას⁷⁴ იქ ძირითადად უცხო ქვეყნის მოქალაქეები იმყოფებოდნენ, რადგან პანდემიის პირობებში მათი ბიოლოგიურ ოჯახებში დაბრუნება ვერ ხერხდებოდა. ბათუმის თავშესაფარში, გასულ წლებთან შედარებით, მოწესრიგებულია ფიზიკური გარემო. დაწესებულებაში დაგვხვდა სისუფთავე და კვების მარაგის მხრივ გამოსწორებული ვითარება. მათ ასევე გაითვალისწინეს სახალხო დამცველის რეკომენდაცია და განაახლეს ინვენტარი. გარდა ამისა, შევსებული იყო პირველადი დახმარების მედიკამენტების მარაგი.

სიღნაღის თავშესაფარში ვიზიტისას⁷⁵ პერსონალის მხრიდან აღინიშნა, რომ პანდემიის პირობებში ბენეფიციარების მთავარი წუხილი ძირითადად შენობიდან გასვლა-შემოსვლას უკავშირდებოდა. მიუხედავად ამისა, ისინი ემორჩილებოდნენ არსებულ წესებს, მათ ასევე მიეწოდათ ინფორმაცია ახალ რეგულაციებზე. პანდემიის პირობებში არ გაზრდილა მიმართვიანობა, თუმცა იმატა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბენეფიციართა რიცხვმა.

⁷² მონიტორინგისას თავშესაფარის სერვისით სარგებლობდა 16 ბენეფიციარი (მათ შორის დამოკიდებული პირები).

⁷³ საპირფარეოებში არ იყო არც საპონი, და არც ხელსახოცი. სააბაზანოში კვლავ გაფუჭებულია საშხაპე ონკანები. სააბაზანო ოთახში, სადაც ბენეფიციარები რეცხავენ ტანსაცმელს, დამონტაჟებულია გათბობის ქვაბი, რომელიც იმგვარად არის შეერთებული დენის წყაროში, რომ ბავშვებისთვის მისაწვდომია.

⁷⁴ მონიტორინგისას თავშესაფარის სერვისით სარგებლობდა 7 ბენეფიციარი, მათგან 1 ტრეფიკინგის მსხვერპლი.

⁷⁵ სიღნაღის თავშესაფარში ვიზიტისას ადგილზე იმყოფებოდნენ 3 ბენეფიციარი და არასრულწლოვანი პირები.

თავად ბენეფიციარებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ სიღნაღის თავშესაფარში წინა წლების მსგავსად⁷⁶, კვლავ პრობლემურია საკვები ულუფების განაწილების წესი, მათი რაოდენობა და ხარისხი. შესაბამისად, ბენეფიციარებს თავად უწევთ საკვების შეძენა, რადგან მათთვის მიუღებელია საკვების დამატების მოთხოვნის არსებული წესი. ერთ-ერთმა ბენეფიციარმა გასაუბრებისას ასევე აღნიშნა, რომ თავად ყიდულობს ჰიგიენურ საშუალებებს, რადგან ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული ნივთების ჩამონათვალი მინიმალურია. აღსანიშნავია, რომ საკვებისა და სხვა ნივთების განაწილების მსგავსი პრაქტიკა დანერგილია მხოლოდ სიღნაღის თავშესაფარში, რაც არ წარმოადგენს სტანდარტს სხვა დაწესებულებებისთვის. შესაბამისად, მნიშვნელოვანია არსებული წესის გადახედვა.

აღსანიშნავია, რომ არცერთ თავშესაფარსა და კრიზისულ ცენტრში არ გაუზომავთ ტემპერატურა სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებისთვის და არც ხელები დაუმუშავებიათ მათთვის სპეციალური ხსნარით, რაც გვაფიქრებინებს, რომ სათანადოდ არ მოწმდება დაწესებულების ვიზიტორთა ჯანმრთელობის მდგომარეობა და ზომები არ მიიღება პანდემიის გავრცელების რისკის თავიდან ასარიდებლად.

თბილისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისულ ცენტრში ვიზიტისას, პერსონალის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე გამოვლინდა, რომ როგორც ბენეფიციართა, ისე თანამშრომელთა თერმოსკრინინგი მიმდინარეობს თერმომეტრით და არა ელექტრო აპარატით. აღინიშნა, რომ კარანტინის შემდეგ გაზრდილია მიმართვიანობა, რის მიზეზადაც დასახელდა სახლში ჩაკეტილობა და ზოგადი გაღიზიანება ადამიანებში. კრიზისულ ცენტრში არ არის გამოყოფილი საკარანტინო ზონა. პანდემიის დროს ბენეფიციარებს სერვისი მიეწოდებათ ონლაინ, მათ შორის, ფსიქოლოგიური, იურიდიული და სოციალური საკითხების შესახებ. ყოველდღიური ზედაპირული დასუფთავების გარდა, თვეში ერთხელ დასუფთავების კომპანია უზრუნველყოფს კრიზისული ცენტრის კედლების დეზინფექციას.

თბილისის კრიზისულ ცენტრში ასევე განთავსებულია ძალადობისგან დაცვის ცხელი ხაზის - 116 006 ოპერატორების სამუშაო სივრცე. ცხელი ხაზის ოპერატორმა გვაცნობა, რომ ყოფილა ტექნიკური ხასიათის შეფერხებები ცხელ ხაზზე, თუმცა ამ დროს აქვთ პირადი სათადარიგო ნომერი. აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელმა ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისულ ცენტრში მისვლამდე დარეკა ცხელ ხაზზე (116-006,) და ოპერატორმა სახელისა და გვარის, ასევე, სპეციალისტთან ჩაწერის გარეშე არ გასცა კრიზისული ცენტრის მისამართი. საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ კრიზისული ცენტრების შესახებ ინფორმაცია შეუფერხებლად უნდა გაიცემოდეს, რათა არსებული სერვისი მაქსიმალურად მოერგოს ბენეფიციართა საჭიროებებს და მათ ინფორმაციაზე წვდომის შეზღუდვით გარკვეული ბარიერები არ შეექმნათ.

⁷⁶ მსგავსი პრობლემა ასევე გამოვლინდა 2019 წლის მონიტორინგისას, და გაიცა რეკომენდაცია აღნიშნული წესის გადახედვის შესახებ.

გორის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისული ცენტრი მონიტორინგის ჩატარებისას დაკეტილი იყო. კრიზისული ცენტრის გაღების და თანამშრომლებთან გასაუბრების შედეგად მიღებული ინფორმაციის თანახმად, პანდემიის დროს მიმართვიანობა საგრძნობლად არ გაზრდილა. კრიზისულ ცენტრში შესვლისას ბენეფიციარებს არ უტარდებათ თერმოსკრინინგი, არც დამლაგებელი ამუშავებს შენობაში არსებულ ზედაპირებს სპეციალური ხსნარით. თუმცა კრიზისული ცენტრის სერვისით მოსარგებლე პირებისთვის აქვთ პირბადეები და ხელის სადეზინფექციო საშუალებები.

მონიტორინგის ჩატარებისას დაკეტილი იყო **ქუთაისის** ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისული ცენტრიც. პერსონალთან გასაუბრება მხოლოდ ხელმძღვანელთან დარეკვისა და თანამშრომელთა ადგილზე მოსვლის შემდეგ გახდა შესაძლებელი.⁷⁷ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, პანდემიის პირობებში გაზრდილია მიმართვიანობა არასრულწლოვანი ბენეფიციარების მხრიდან. ასევე, სავარაუდო მსხვერპლებს სერვისებს სთავაზობენ სატელეფონო კავშირით ან ონლაინ. აღინიშნა, რომ კარანტინის შემდეგ გაზრდილია ფსიქოლოგიური, ფიზიკური და სექსუალური ძალადობის შემთხვევები. კრიზისულ ცენტრს აქვს დეზობარიერი, პირბადეების მარაგი და სადეზინფექციო ხსნარები.

ოზურგეთის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისულ ცენტრში ვიზიტისას, ადგილზე იმყოფებოდა სოციალური მუშაკი.⁷⁸ პანდემიის დროს ძირითადად გასცემდნენ ფსიქოლოგიურ სერვისს, თუმცა ასევე ჰქონდათ შესაძლებლობა, სხვადასხვა სერვისი დისტანციურად გაეცათ. პრობლემად დასახელდა რეფერირების მექანიზმი, მათ შორის, ადგილობრივი პოლიციისა და მუნიციპალიტეტის დაბალი აქტიურობა, რაც იმაში გამოიხატება, რომ არ ხდება მათთან ბენეფიციარის გადამისამართება. თანამშრომლები თავად არიან პასუხისმგებლები ოფისის სისუფთავეზე, საამისოდ ადგილზე აქვთ შესაბამისი სადეზინფექციო საშუალებები.

მონიტორინგის ჩატარებისას დაკეტილი დაგვხვდა **მარნეულის** კრიზისული ცენტრიც.⁷⁹

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ პოზიტიური ცვლილებების მიუხედავად, კვლავ პრობლემაა კრიზისულ ცენტრებზე სერვისებზე წვდომა რეგიონებში. სახალხო დამცველის 2019 წლის მონიტორინგის ანგარიშში აღინიშნა, რომ რეგიონში მდებარე კრიზისული ცენტრების მომსახურების მიმღებთა მაჩვენებელი კრიტიკულად დაბალი იყო, რაც კითხვებს ბადებდა აღნიშნული მომსახურების ცენტრების მიერ სერვისების და ინფორმაციის სწორად მიწოდებასთან დაკავშირებით. სამწუხაროდ, სახალხო დამცველის მიერ ჩატარებული მონიტორინგისას გორის, ქუთაისის და მარნეულის კრიზისული ცენტრები დაკეტილი იყო,

⁷⁷ ინტერვიუ ჩატარდა კრიზისული ცენტრის სოციალურ მუშაკთან და ფსიქოლოგთან.

⁷⁸ ინტერვიუ ჩატარდა სოციალურ მუშაკთან, ხოლო იურისტი და ფსიქოლოგი შვებულებაში იმყოფებოდნენ.

⁷⁹ მონიტორინგი ჩატარდა 2020 წლის 10 სექტემბერს.

რაც კიდევ უფრო მიუთითებს აღნიშნული სერვისების უმოქმედობაზე და საჭიროებს დროული და ეფექტიანი ზომების მიღებას.

თავშესაფრებში კვლავ პრობლემაა პირველადი ნივთების, მათ შორის, სეზონისა და ასაკის შესაბამისი ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის არარსებობა. მაგალითად, თბილისის კრიზისული ცენტრის გარდა, პირველადი საჭიროების ნივთები (ოთახის ფეხსაცმელი, მაისური და სხვ.) დეფიციტურია ყველა თავშესაფარში. რაც შეეხება კვების საკითხს, არცერთი თავშესაფრის დღის მენიუში არ არის მითითებული ხილი. ბენეფიციარებმა ყურადღება გაამახვილეს საუზმის⁸⁰ მრავალფეროვნებაზეც, განსაკუთრებით მცირეწლოვანი ბავშვებისთვის, და დილაობით ფაფისა და რძის ნაწარმის აუცილებლობაზე ისაუბრეს.

განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს თანამშრომელთა გადამზადების საკითხი. მისასაღმებელია, რომ თანამშრომელთა ნაწილის გადამზადება ხდება თემატურ საკითხებზე, თუმცა არცერთ თავშესაფარში არ ხდება მძღოლებისა და დაცვის წევრების ჩართვა სატრენინგო პროცესში. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ცნობიერების ამაღლება მნიშვნელოვანია თავშესაფარში დასაქმებული ყველა პირისთვის, რათა მაქსიმალურად იქნას თავიდან აცილებული გაუთვალისწინებელი შემთხვევები და ამასთან, თავშესაფრისა და კრიზისული ცენტრის ყველა თანამშრომელი ფლობდეს ზოგად ინფორმაციას ძალადობის სპეციფიკის და მსხვერპლთა ფსიქო-ემოციური მდგომარეობის შესახებ.

რეკომენდაციები

სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს:

- უზრუნველყოს თავშესაფრებში უკუკავშირისა და გასაჩივრების მექანიზმის გამართული ფუნქციონირება
- ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი მსხვერპლებისთვის უზრუნველყოს ხარისხიანი ფსიქოლოგიური დახმარების სერვისის მიწოდება, მათთვის გასაგებ ენაზე
- გაიმიჯნოს გორისა და ქუთაისის კრიზისულ ცენტრებსა და თავშესაფრებში დასაქმებული პერსონალი და უზრუნველყოფილ იქნეს სერვისის შეუფერხებლად მიწოდება
- აღმოიფხვრას სამუშაო საათებში, ქუთაისის და გორის კრიზისული ცენტრების დახურვის/არასრულფასოვნად მუშაობის ფაქტები
- ცხელი ხაზის ოპერატორებს მიეცეთ მითითება, მაქსიმალურად შეეცადონ, ზარის ინიციატორი მსხვერპლები დაარწმუნონ ისარგებლონ კრიზისული ცენტრის მომსახურებით, თავად კი, ყურადღება არ გაამახვილონ ფორმალურ სტატუსზე, რომელიც რიგ შემთხვევაში აბნევს მსხვერპლს და სერვისის მიღმა ტოვებს

⁸⁰ საუზმეში შედის: ჩაი, ყავა და ორცხობილა.

- ბენეფიციარებს და მათზე დამოკიდებულ პირებს შესთავაზონ მრავალფეროვანი კვებითი ღირებულებისა და სეზონის შესაბამისი საკვები
- მეტი ყურადღება დაეთმოს თავშესაფრებში სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას
- გადამდები ინფექციების თავიდან ასაცილებლად, ბენეფიციარებს პროაქტიულად შეეთავაზოთ რუტინული კვლევები (თერაპევტთან)
- თავშესაფრებში განთავსებული ბენეფიციარები უზრუნველყოს ასაკის და სეზონის შესაბამისი ტანსაცმლით/ფეხსაცმლით/საცვლებით
- მეტი ყურადღება დაეთმოს თავშესაფრების ეზოების, ინვენტარისა და ბავშვებზე ორიენტირებული ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობას
- თავშესაფრებში მოწესრიგდეს ბიბლიოთეკები და აღიჭურვოს ისინი ასაკის და ენის შესაბამისი ლიტერატურით
- უზრუნველყოს თავშესაფრების და კრიზისული ცენტრების ფიზიკური გარემოს ადაპტირება, რათა სერვისის გაცემა მაქსიმალურად დაიხვეწოს ყველა ტიპის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მომსახურებისთვის
- პოლიციის მხრიდან შესაძლო არასათანადო რეაგირებაზე ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, უზრუნველყოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის ინფორმირება
- უზრუნველყოს თავშესაფრის ადმინისტრაციისა და პერსონალის გადამზადება პერსონალური ინფორმაციის შეგროვების, შენახვისა და დაცვის შესახებ
- უზრუნველყოს თავშესაფრების პერსონალის, მათ შორის, მედდის და მიძის გადამზადება ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხებზე
- დაგეგმოს და განახორციელოს საინფორმაციო კამპანია ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის ქვეყანაში არსებული დაცვისა და დახმარების სერვისების პოპულარიზაციისა და მოსახლეობის ინფორმირებულობის გასაზრდელად
- თავშესაფრებსა და კრიზისულ ცენტრებში ახალი კორონავირუსის (COVID 19) გავრცელების თავიდან ასაცილებლად, მიიღონ შესაბამისი ზომები

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- პოლიციის თანამშრომლებმა მაქსიმალურად უზრუნველყონ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ინფორმირება ქვეყანაში არსებული სახელმწიფო თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების სერვისების შესახებ⁸¹

⁸¹ კრიზისულ ცენტრთან თანამშრომლობის საკითხებზე, განსაკუთრებული მითითება მიეცეს შსს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის დანაყოფებს.

ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ორგანოებს:

- ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის/დაზარალებულებისთვის შეთავაზებული ბინის ქირით უზრუნველყოფა დამოკიდებული იყოს არა მათ იურიდიულ, არამედ ფაქტობრივ მისამართზე
- გააძლიეროს თანამშრომლობა თავშესაფრებსა და კრიზისულ ცენტრებთან და ძალადობის მსხვერპლების ჩართულობით შეიმუშაოს მათ საჭიროებებზე მორგებული, სპეციალური მხარდამჭერი პროგრამები.